საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 41 (314) ● შაბათი, 7 მარტი, 1992 წელი ● ფასი 60 კაპიკი.

ნუხელ

შეიტყვეთ

კომენდატურის ცნობა

6 მარტის საღამო თბილისში ძალიან დაძაბული იყო.

ქალაქის მესამე საავადმყოფოდან სამხედრო კომენდატურაში დარეკეს: გვიშველეთ, თავს დაგვესხნენო. მაშინვე გაეშურა სპეციალური ჯგუფი. მორიგე ექიმის მონათხრობიდან გაირკვა: საავადმყოფოში ორმა ახალგაზრდამ მიიყვანა თავიანთი ოცდაექვსი წლის მეგობარი ბიჭი, რომელიც მუცლის არეში მძიმედ იყო დაჭრილი. ბიჭები ნასვამები აღმოჩნდნენ და როდესაც შეიტყვეს, რომ ოპერაცია აუცილებელი იყო, ყოველნაირად შეეცადნენ არ დამორჩილებოდნენ ექიმს. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ დაუდგენელმა პირებმა ავტომანქანა „ჟიგულიდან“ ცეცხლი გაუხსნეს საავადმყოფოს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტებს ქალაქის კომენდანტის მოადგილემ მურთაზ ბაგუნიამ.

თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტმა ქალაქის კომენდატურას აცნობა, რომ ღამით, თავს დაესხნენ სამხედრო სასტუმრო „კავკასიონს“. შეიარაღებული პირები, რომლებიც გვარდიელის ფორმაში იყვნენ გადაცმულები, შეეცადნენ შეურაცხყოფა მიეყენებინათ მომსახურე პერსონალისთვის. მორიგე მარიამ ტატანაშვილის თქმით, მომხდურთ, ოთახებში შესვლა და უცნობი მანდილოსნების გაცნობა მოუთხოვიათ, და როცა წინააღმდეგობა გაუწიეს, ხროლა აუტეხიათ.

გულიკო მარკოზაშვილი,
თენგიზ ჩხიკვაძე.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია

5 მარტს გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომა.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. არძინბამ დეპუტატებს გააცნო საკითხები, რომლებიც წინა დღით განიხილა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სესიის განსახილველად დეპუტატებს წარმოუდგინა შემდეგი დღის წესრიგი:

კანონი — „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურის შესახებ“.

კანონი — „აქციზებისა“, „დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის შესახებ“.

„ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნის შესახებ“. გადაწყდა, რომ ეს საკითხი გადაეცეს შეთანხმებულ კომისიას შემდგომი დამუშავებისათვის.

შემდეგ დეპუტატმა რ. ქარაიამ სესიის დღის წესრიგში შესატანად წამოაყენა საკითხი „აფხაზეთის დროებითი სამხედრო საბჭოს შესახებ“.

საკითხი — „აფხაზეთის დროებითი სამხედრო საბჭოს შესახებ“, სათანადო კამათის შემდეგ სესიის დღის წესრიგში შეიტანეს.

სესიამ საქმიანი მსჯელობისა და კამათის შემდეგ მიიღო კანონები — „აფხაზეთის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურის შესახებ“ და „აქციზებისა და დამატებულ ღირებულებაზე გადასახადების შესახებ“.

დღის წესრიგის სხვა საკითხების განხილვა სესიის მორიგი სხდომისთვის გადაიდო.

იოსებ ბოგბაჩია

სამაჩაბლო:

ვითარება კვლავ რთულია

3 მარტს სოფელ თამარაშენის ქართული მოსახლეობის სახლებს სამხედროებისა და ოსი ექსტრემისტებისგან დაკომპლექტებულმა ჯავშანტრანსპორტიორმა ცეცხლი დაუშინა. ტყვიით დაცხრილეს ქართველთა სახლები. საბედნიეროდ, ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ოსმა ექსტრემისტებმა კვლავ განაახლეს ხროლა ნიქოზისა და ერედვის მიმართულებით.

— ვითარება სამაჩაბლოში კვლავ რთულია, ქართული სოფლების ბლოკადა განახლდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქ გორისა და მისი რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ვალიკო დოლიაშვილმა. — გვიძნელდება ბლოკადაში მყოფი ცხრა ქართული სოფლისთვის სურსათის მიწოდება. გზებს ოსი ექსტრემისტები აკონტროლებენ. გორში კრიმინოგენული სიტუაცია დაიძაბა. გახშირდა საწყობებზე შეიარაღებული თავდასხმები და სურსათის დატაცება. ქალაქს შეუწყდა ბუნებრივი გაზის მიწოდება. ძალზე გვაკლია საწვავი და ენერგორესურსები.

რეზო თორელი

ნუხელ

შეიტყვეთ

ეს ჩვენი საქართველოა!

სიმონ კილაძის ფოტო.

შეიქმნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 10 იანვრის დადგენილების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

დააწესა **ხონის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შექმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — ხონის რაიონის გამგეობა.

მიღებულია ხონის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტიებისა და წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლობითი კრების წინადადება და დამტკიცდა გენადი კუზალაშვილი ხონის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — ხონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დააწესა **ქარელის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შექმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა ტარიელ ბარბაქაძე ქარელის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დააწესა **ჩხოროწყუს რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შექმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

დამტკიცდა კანდიდ გოგუა ჩხოროწყუს რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დააწესა **ნინოწმინდის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შექმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — ნინოწმინდის რაიონის გამგეობა.

სალავათ აროიანს — ნინოწმინდის რაიონის საკრებულოს მდივანს დაეკისრა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

დააწესა **ახალციხის რაიონში** რესპუბლიკური მმართველობა და შექმნა ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანო — რაიონის გამგეობა.

სერგო მანჯგალაძე დაამტკიცა ახალციხის რაიონის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. მას დაევალა შექმნას გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრების კანდიდატურები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

აღნიშნულ რაიონებში გაუქმებულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებითი საგანგებო რწმუნებულის თანამდებობანი.

საქართველოს
რესპუბლიკის
მინისტრთა კაბინეტში

ნომერშია:

- გაბედულად გადავდგათ პირველი ნაბიჯი საბაზრო ურთიერთობაზე გადასასვლელად. მე-2 გვ.
- საქართველომ უნდა მოიკრიბოს პოლიტიკური გონი. მე-3 გვ.
- 9 მარტიდან იწყება დიდი მარხვა. მე-4 გვ.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ თენგიზ სიგუას წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება დააკისრა ალექსანდრე დავითის ძე ჩიკვაიძეს.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს სახელით:
თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი.

ალექსანდრე ჩიკვაიძე

დაიბადა 1982 წელს, ქალაქ თბილისში. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის თეორიული კურსი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია ქალაქ მოსკოვში. აქვს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის რანგი. არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მთელი რიგი საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის მეცნიერული შრომების ავტორი. ფლობს ინგლისურს, ფრანგულს, ჰოლანდიურ ენებს.

1967 წლიდან ა. ჩიკვაიძე მუშაობდა საზღვარგარეთ. იყო გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული ბომბეიში (ინდოეთი), საელჩოს პირველი მდივანი ლონდონში (დიდი ბრიტანეთი).

თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საქართველოს გამომცემლობათა და პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

წლების განმავლობაში იყო საქართველოს და საკავშირო ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1979 წელს დაამთავრა მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის უმაღლესი კურსები, იმავე წლიდან მუშაობდა გენერალურ კონსულად სან-ფრანცისკოში (აშშ), იყო სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი კენიაში და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალაქ ნაირობში. ბოლო დროს კი ა. ჩიკვაიძე სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იყო ნიდერლანდებში.

ედუარდ შევარდნაძე:

„ჩემი გადაწყვეტილება არ არის მხოლოდ ჩემი პირადი არჩევანი“...

სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში თავისი გამგზავრების წინა დღეს შეხვდა ჟურნალისტებს.

„ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, საკუთარი ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა ყველაზე უკეთ ვლინდება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა პრაქტიკულ დამკვიდრებაში“, — განაცხადა მან, როცა განმარტავდა იმ მიზეზებს, რამაც უკარნახა მას მიეღო გადაწყვეტილება წასულიყო საქართველოში.

ეს გადაწყვეტილება, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — „არ არის მხოლოდ ჩემი პირადი არჩევანი“. ეს შეთანხმებულია საქართველოს მრავალი მოქალაქის ნებასურვილთან, იქნებიან ეს რესპუბლიკის ხელმძღვანელები თუ რიგითი ადამიანები.

იმედი მაქვს, რომ მექნება საქმიანი კავშირი და თანამშრომლობა საქართველოს ყველა ჯანსაღ ძალებთან რესპუბლიკის გადარჩენის მიზნით, ეროვნული და ეროვნებათშორისი მშვიდობის დამყარებისათვის, ჩვენი ქვეყნის ღირსეული შესვლისათვის ცივილიზებულ სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობაში, — განაცხადა მან.

განცხადება თბილისში გამომგზავრების წინ

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა შემდეგი განცხადება:

— 7 მარტს, მივფრინავ თბილისში, ჩემი სამშობლოს — საქართველოს დედაქალაქში.

მის ფარგლებს გარეთ განვლილი ჩემი ცხოვრების წლების პერიოდში არჩევანი მე მეკუთვნოდა: მე ვამტკიცებდი, რომ ჩავიდოდი საქართველოში, როცა ამას მივიჩნევდი საჭიროდ, რომ არავის შეუძლია ხელი შემიშალოს ამაში.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩემს პირად არჩევანს ყოველთვის ვუქვემდებარებდი სამსახურებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას, სიტუაციის გაგებას და, რაც მთავარია, ხალხის ნება-სურვილს.

ახლა იმის დრო არ არის, რომ ვილაპარაკოთ, რატომ წამოიჭრა პირადულსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიდიდეებს შორის დრამატული წინააღმდეგობა. ვიტყვი მხოლოდ, რომ წლების განმავლობაში ჩემგან, როგორც სსრ კავშირის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, მოითხოვდნენ საჯარო მხარდაჭერას.

(იტარ-საქდეხი).

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დიმიტრი ივანეს ძე კოტეტიშვილი დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩევლის მოვალეობის შემსრულებლად.

რომან გვენცაძე — მილიციის გენერალ-მაიორი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მორიგი სპეციალური წოდება „მილიციის გენერალ-მაიორი“ მიანიჭა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ რომან ლევანის ძე გვენცაძეს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი რესპუბლიკურ შეხვედრაზე იწვევს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გამგეობათა თავმჯდომარეებს.

შეხვედრა გაიხსნება მიმდინარე წლის 7 მარტს დღის 12 საათზე მთავრობის სახლის კინოდარბაზში.

გამგეობათა თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

პირისპირ ინტერვიუების შემდეგ P. S. -ით

— ბატონო ვალერი, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიხდათ — ოპოზიციაში ყოფნა, დაპატიმრება, ემიგრაცია. ალბათ, ძნელი იყო ეს ყველაფერი...

— რა თქმა უნდა, ძნელი იყო ფიზიკურადაც და სულიერადაც, უფრო კი მაინც სულიერად.

— თქვენ ოპოზიციაში ედექით გამსახურდიას ხელისუფლებას. როგორ ფიქრობთ, უკვე დამარცხდა ის, რასაც ებრძოდით და უკვე გაიმარჯვა იმან — რისთვისაც იბრძოდით?

— არა, ეს ერთი ეტაპია მხოლოდ. გამსახურდიას დამარცხება აუცილებელი კი იყო, მაგრამ საკმარისი როდია დემოკრატიის აშენებლად. ჯერ კიდევ დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიწევს, ვიდრე სახელმწიფო მართვის დემოკრატიულ სტრუქტურებს შევქმნიდეთ.

— მაშინ რა განსხვავებაა ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის?

— განსხვავება, ჩემი აზრით, პრინციპულია. საქმე ის არის, რომ გამსახურდია დემოკრატიის წინააღმდეგ იბრძოდა. ახლები კი — დემოკრატიისთვის. ესე იგი, მიზანშია განსხვავება. პირველ შემთხვევაში მიზანი ანტიხალხური იყო, მეორე შემთხვევაში კი — კეთილშობილური.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ამ მიზნის მიღწევას?

— მე ვფიქრობ, რომ ამ მიზნის საბოლოო მიღწევა არ უნდა იყოს დროებითი მთავრობისა და სამხედრო საბჭოს პრეროგატივა. ეს, ალბათ, ახალი, არჩეული ხელისუფლებისა და მთავრობის მიზანს უნდა შეადგენდეს, მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ იმას კი უნდა მიაღწიოს, რომ არჩევნების ჩატარება შეძლოს, თორემ მთელი მათი ცდა და ბრძოლა დემოკრატიისთვის ამაო აღმოჩნდება.

— როგორც ჟურნალისტი, ახლა მაინც თუ ხართ თავისუფალი?

— ვერ ვიტყვი, რომ ვინმე მზღუდავდეს, მაგრამ ჟურნალისტის საბოლოო თავისუფლებამდე, ეტყობა, ჯერ კიდევ შორსაა.

— რატომ?

— თუნდაც იმიტომ, რომ, ვთქვათ, ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელი მთლიანად არის დამოკიდებული მთავრობაზე, როგორც პირდაპირ (როცა უნდათ მოხსნიან, როცა უნდათ დანიშნავენ), ასევე, ირიბად — ფინანსურად. ასეთ შემთხვევაში იგი ვერ გაექცევა ზემოდან დიქტატს. თუმცა შეიძლება დიქტატის ფორმები განსხვავებული იყოს (ბრძანება, თხოვნა, რჩევა). მაგალითად, თუ გახსოვთ, ბატონმა თენგიზ სიგუამ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობას ურჩია შეეჩერებინათ ჩემი ინტერვიუ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. ამ რჩევის გამო ინტერვიუ სამი კვირის დაგვიანებით და დიდი ბრძოლის შემდეგ გადაიცა. იმიტომ, რომ ზემოდან ბრძანებასა და რჩევას შორის ფაქტობრივად არავითარი განსხვავება არ არის. მე ვოცნებობ ისეთ ვითარებაზე, როცა ჟურნალისტი მხოლოდ კანონის წინაშე იქნება პასუხისმგებელი.

— ახლახან შემოიღეთ ახალი სატელევიზიო ციკლი „პირისპირ“. ამ ციკლმა უკვე დააინტერესა საზოგადოებრიობა.

— ეს ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი — ეს ციკლი პირდაპირ, ჩაუწერავად გადაიცემა ეთერში, რაც გამორიცხავს ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის შესაძლებლობას, ესე იგი, გამორიცხავს ცენზურას; და მეორე — ამ ციკლში ვცდილობ დრო დავუთმო ყველას, მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკურ პოზიციაზე დგას იგი. სამაგალითოდ ბატონ აკაკი ასათიანის გამოყვანაც იკმარებდა.

— თქვენ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუ ახსენეთ. რა უძღოდა ამ ინტერვიუს ჩაწერას, ან თავდაპირველ ჩანაწერში თუ იყო რამე ისეთი, რაც ეთერში არ გადაიცა, რაც დამონტაჟდა?

— ამ გადაცემას წინ, ჩემი, როგორც ჟურნალისტის, ოცნება უძღოდა, რომ ჩამეწერა ინტერვიუ დიდ ქართველ პოლიტიკოსთან, რომელიც მსოფლიომ აღიარა. წინ უძღოდა აგრეთვე ჩემი დაპატიმრებაც. ნუ გაგიკვირდებათ, მე გამსახურდიას მხოლოდ ტელევიზიის წინ მიმდინარე აქციის ორგანიზებისთვის არ დავუპატიმრებივარ. 16 ოქტომბერს დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ ამირჩიეს. 18-ში დემოკრატიულმა პარტიამ თხოვნით მიმართა ბატონ ედუარდს ეკისრა შუამავლის როლი დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რათა საქართველო სისხლისღვრისგან ეხსნა; პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ ეს შევარდნაძესთან ალიანსს ნიშნავდა, და დაუყოვნებლივ გასცა ჩემი დაპატიმრების ბრძანება, რაც 20 ოქტომბერს აღსრულდა კიდევაც.

რაც შეეხება დამონტაჟებას, ასეთი რამ არ ყოფილა. რაც ჩავწერეთ, ყველაფერი გადაიცა.

— გამოდის, რომ თქვენ ბატონ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების პროპაგანდას ეწევით?

— დიახ. მეც და დემოკრატიული პარტიაც, რომლის ხელმძღვანელიც მე ვარ, ვფიქრობთ, რომ საქართველოსთვის უცილობელია ბატონ შევარდნაძის დაბრუნება. ჩვენ გვაქვს ამ პოზიციის სისწორის დამადასტურებელი არგუმენტები. იმათ, ვინც საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას, არგუმენტები არ გააჩნიათ. მათთვის ყველაზე დიდი არგუმენტი პირადი წყენაა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს მხოლოდ მათი პოლიტიკური უმწიფრობის დამადასტურებელია.

— პირადად თქვენ ბატონ შევარდნაძესთან დაკავშირებით ბევრი უსიამოვნება შეგემთხვათ. მარტო ის რად ღირს, რომ ერთმა ქუთაისელმა მოქალაქემ საჯაროდ, ტელევიზიით „შევარდნაძის გოშია“ გიწოდათ (მაპატიეთ, რომ ეს სალანძღავი გამოთქმა კვლავ შეგახსენეთ).

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ფაქტი არც მწყენია. მეტსაც გეტყვით, მე იმ მოქალაქის გამოსვლის ეს ფრაგმენტი გამოვიყენე კიდეც ბატონ შევარდნაძესთან ინტერვიუს შესავალში. ამით ის აღვნიშნე, რომ უზრდელობა უზრდელისთვის არის შეურაცხმყოფელი და არა იმისთვის, ვისაც უზრდელად მიმართეს. ამას გარდა, ამ ინტერვიუში, ხომ იცით, ჩემი მხრიდან არაფერი პირფერული არ ყოფილა. პირიქით, მე ბატონ ედუარდს ლამის დაკითხვა მოვუწყვე, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ მას ეს არც სწყენია და არც თავი აურიდებია.

— წინასწარ თუ იცოდა ბატონმა ედუარდმა, რა კითხვებს დაუსვამდით?

— წინა დღით, როცა შევუთანხმდი ინტერვიუს თაობაზე, ვუთხარი, რომ ჩამოვუწერდი იმ ძირითად საორიენტაციო კითხვებს, რომელთა დასმასაც ვაპირებდი. მან, ღიმილით, დიპლომატიური პასუხი გამცა: „მე რომ ამ კითხვებს წინასწარ გავეცნო, ალბათ, ღამე ვერ დავიძინებ და ხვალ ცუდ ფორმაში ვიქნებიო“. ამით საშუალება მომცა ინტერვიუს ჩაწერისას მაქსიმალურად თავისუფლად მეგრძნო თავი. რაკი ამ ინტერვიუზე ვლაპარაკობთ, თუ ნებას მომცემთ, კიდევ ერთ გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებას. თქვენ იცით, რომ თითქმის ყოველგვარ ადამიანთან მქონია სატელევიზიო დიალოგები — პოლიტიკოსებთან, ეკონომისტებთან, ფუნქციონერებთან, მეცნიერებთან, ხელოვნების წარმომადგენლებთან. ასობით სატელევიზიო დიალოგი წარმიმართავს, მაგრამ არასოდეს შემხვედრია ისეთი ჩინებული მოსაუბრე (ტელევიზიის სპეციფიკის გათვალისწინებით), როგორიც ბატონი ედუარდ შევარდნაძეა. იგი ყველა კითხვას ლაკონურად, სათანადო ჟესტიკულაციისა და მიმიკის მოშველიებით პასუხობს, მაშინვე რეაგირებს ჟურნალისტის ყველა რეპლიკასა და საუბარში ჩართვაზე, ბოლომდე უსმენს. შეკითხვის შემდეგ პასუხის დაწყებამდე აკეთებს შეკითხვის სიმძაფრისა და ხასიათის ადეკვატურ პაუზებს, რაც საუბარს არა მარტო ბუნებრიობას ანიჭებს, არამედ ემოციურად მდიდარსა და ქვეტექსტებით დატვირთულს ხდის. მაყურებელს განსჯისა და ანალიზის საშუალებას უტოვებს.

— რამდენადაც ვიცი, ბატონი ედუარდი საქართველოში ბრუნდება. ხომ არ იცით, რა გეგმები აქვს, მიიღებს თუ არა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას?

— დიახ, ბატონი ედუარდი ბრუნდება სამშობლოში. მე არ ვიცი, თუ რა კონკრეტული გეგმები აქვს. ვიცი მხოლოდ ერთი რამ: ის ბრუნდება სამშობლოში, რათა დაეხმაროს მას კრიზისიდან გამოსვლაში, საკუთარი უზარმაზარი გამოცდილება და ავტორიტეტი მის საკეთილდღეოდ დახარჯოს. ერთი რამეც ვიცი: დღეს მას საქართველოში ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს, მათ შორის — დემოკრატიული პარტიაც, რომლის საპატიო თავმჯდომარეც თავად გახლავთ.

— თქვენ 28 ოქტომბრის წინასაარჩევნო კამპანიის დროს დიდი ღვაწლი დასდეთ „მრგვალი მაგიდის“ პოპულარიზაციას.

— ერთი შეხედვით, ეს სწორია. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ ვითარების არსში, საქმე ასე იყო: მე „მრგვალი მაგიდის“ სასარგებლოდ კი არა, უწინარესად, კომუნისტების წინააღმდეგ ვიბრძოდი. ხოლო როცა მივხვდი, რომ „მრგვალი მაგიდა“ კომპარტიაზე უარესი იყო, უკვე ყოველნაირად დავუპირისპირდი მას.

— თვლით თუ არა თავს განაწყენებულ კაცად? თქვენზე ამბობდნენ, ოპოზიციაში იმიტომ ჩადგა, რომ ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეობა უნდოდაო.

— ეს რომ ასე არ იყოს, მე მგონი საქმით დავამტკიცე.

— თქვენი მწვავე რეაქცია გაზეთ „კაბადონში“ გამოქვეყნებულ შენიშვნაზე ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მტკივნეულად იღებთ კრიტიკას?

— ალბათ, არა. თუ დაკვირვებიხართ, მე ბევრჯერ გავუკრიტიკებივართ და უფრო მეტჯერ ვულანძღივართ კიდეც, მაგრამ პასუხისგან ყოველთვის თავი შემიკავებია. ამჯერად კოლეგების მხრივ არაკორექტულმა და, ჩემი აზრით, უსამართლო კრიტიკამ გამაღიზიანა. შეიძლება ცოტა ზედმეტიც მომივიდა.

— „P.S.“-ს საბოლოოდ შეელიეთ, თუ ცუდად დასცადეთ?

— მე ძალიან მიყვარდა ეს სატელევიზიო ციკლი. ვფიქრობ, რომ მისი გაგრძელება არ იქნება ურიგო, რადგან ციკლი ისე შეწყდა, რომ არ იყო ამოწურული. სამწუხაროდ, ამ ციკლის განახლებისთვის ჯერჯერობით დრო არ მყოფნის.

— ჟურნალისტური და პარტიული მოღვაწეობა ხომ არ უშლის ერთმანეთს?

— უშლის მხოლოდ დროის დეფიციტის თვალსაზრისით. სხვა მხრივ არა. მე დემოკრატიულ პარტიას წარმოვადგენ. ჟურნალისტი კი აუცილებლად დემოკრატი უნდა იყოს. სამსახურებრივ მდგომარეობას ჩემი პარტიის პროპაგანდისთვის არ ვიყენებ. ასე რომ, ეს ორი საქმიანობა, არსებითად, არ უშლის ერთმანეთს.

— არჩევანის წინაშე რომ დადგეთ, რომელს შეელეოდით?

— პარტიას.

ვალერი კვარაცხელიას წარდგენა არ სჭირდება.

არც მის რესპოდენტებს.

ნურავის ეწყინება, მისი ტელეგადაცემები სხვებთან შედარებით მაღალი რანგისაა.

არც ამას სჭირდება ახსნა.

ვალერი კვარაცხელიასთან „პირისპირ“ (საოცრად ზუსტი სიტყვაა, რადგან მას მხოლოდ ინტერვიუს ვერ უწოდებ) ერთისთვის საინტერესოა, მეორესთვის — ცოტა სახიფათოც; საერთო ჯამში — სასარგებლო.

ტელევიზიას გაზეთთან ბევრი რამ საერთო აქვს, და პირიქით.

დღეს პირიქითაა — ბატონი ვალერი თავად უპასუხებს ჩვენს კითხვებს.



P.S. ვალერი კვარაცხელიასთან პირისპირ საუბარი უაღრესად საინტერესოა და იოლი. მის პოზიციას შეიძლება ბევრი არ იზიარებდეს, მაგრამ შევთანხმდეთ: მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა საზოგადოებისთვის სასარგებლოა.

რაც სასარგებლოა, სიკეთეა.

სიკეთე თავისთავად პოზიციაა და, ალბათ, ნებისმიერი ჩვენგანისთვის — საერთო.

ესაუბრა
ვახტანგ ნადირაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა: გზად მომავლისაკენ

ჩვენი სტუმარია საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი შოთა შარაშენიძე

უიმედობა არ ეგების

— როგორც მოგეხსენებათ, დღეს ვაჭრობაში ურთულესი ვითარებაა. საყოველთაო დეფიციტმა, ფასების უსაშველო მატებამ, ინფლაციის არნახულმა ზრდამ დააბნია მოქალაქეები. გთხოვთ გვიამბოთ, რესპუბლიკის მასშტაბით რა კეთდება სასურსათო პროდუქტებითა და სხვა პირველადი მოთხოვნილების საქონლით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

მართალი ბრძანდებით. მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა, ფასების უსაზღვრო ზრდამ და ინფლაციამ არა მარტო დააბნია მოსახლეობა, არამედ გაურკვეველ ვითარებაში ჩააგდო დარგის ბევრი მუშაკიც. ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების ხელაღებით ნგრევისა და ახალი სტრუქტურების შექმნის დაგვიანების გამო მდგომარეობა ფაქტობრივად უმართავი გახდა.

ჩვენმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები (აქ უპირველესად ვგულისხმობ რსფსრ-ს, უკრაინას და ბელორუსიას) საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ჩვენი რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზარზე, ვინაიდან გვინდა ჩვენ თუ არა, სასაქონლო რესურსების ჩამოყალიბებისას მათზე დიდად ვიყავით დამოკიდებული და ეს მდგომარეობა ჯერჯერობით კვლავაც გრძელდება.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საექსპორტო პოტენციალი დღეისათვის დაბალია და ამდენად სასაქონლო რესურსების ფორმირებისას მათზე დაყრდნობა მთლიანად არ შეიძლება.

დღევანდელ ფასების ზრდას მნიშვნელოვანწილად იწვევს ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საწარმოების მიერ ხელოვნურად მაღალი რენტაბელობის დონისკენ სწრაფვა, რასაც რესპუბლიკის მთავრობა ამ ეტაპზე უპირისპირებს დაბეგვრის მექანიზმის სრულყოფას და სხვა ეკონომიკურ ბერკეტებს, პირველადი მოთხოვნილების საგნებზე და გაწეულ მომსახურებაზე ფასების განსაზღვრას რეალური დანახარჯების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ფართო მოხმარების საქონლის ფასების ლიბერალიზაციის პროცესს, მან ხელი უნდა შეუწყოს პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას, რაც მომავალში ბაზრის გაჯერების პროცესში ფასების შემცირებამდე მიგვიყვანს.

მიუხედავად შექმნილი სიძნელეებისა, რესპუბლიკის მრეწველობასთან ერთობლივი მუშაობით ვცდილობთ გაცვლითი ოპერაციების მეშვეობით წარვმართოთ მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა კარაქი, ხორცი და ხორცეული, მცენარეული ზეთი, რძის პროდუქტები, რათა მივაღწიოთ მოსახლეობისთვის ამ დასახელების გარკვეული რაოდენობის საქონლის გარანტირებულ მიყიდვას. ხორციელდება ქმედითი ღონისძიებები რესპუბლიკის მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საქონლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. ვაჭრობის სამინისტროს, თავის უპირატეს ამოცანად მიაჩნია საავადმყოფოების, ბავშვთა სახლების, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების და სასწავლებლების სასურსათო საქონლით მომარაგება. გატარებული ღონისძიებების შედეგად ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ძირითად სასურსათო საქონელზე რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებისა და რეგიონების მოთხოვნილება.

მიმდინარე ეტაპზე ვაჭრობის სამინისტროში ახლად შექმნილი საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს მეშვეობით ვცდილობთ ნაწილობრივ გადავჭრათ რესპუბლიკაში სასაქონლო რესურსების, მათ შორის სასურსათო პროდუქტების ფორმირების საკითხები. დღეს სამინისტრო პირდაპირ კავშირებს ამყარებს როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ისე უცხოეთის ქვეყნების ფირმებთან. მჭიდროდ ვითანამშრომლებთ არასახელმწიფო კომერციულ სტრუქტურებთან (კერძო საწარმოებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, ერთობლივ საწარმოებთან). სულ მალე განზრახული გვაქვს სახელმწიფო რესურსების გამოყენება საკონკურსო საფუძველზე ანუ ტენდერი (უფრო ხელსაყრელი საბარტერო გარიგებებისათვის) როგორც სამინისტროს სისტემის, ისე სხვა ორგანიზაციების თანაბარი უფლებებით, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. სამინისტრომ თურქეთის ფირმასთან ერთად დააფუძნა ერთობლივი სავაჭრო-საშუამავლო საწარმო, რომელიც რესპუბლიკაში არსებულ კომერციულ სტრუქტურებს დაეხმარება უცხოეთის პარტნიორების მონახვის, საგარეო-ეკონომიკური გარიგებების შედგენის, მათი ლიცენზირების და განხორციელების საქმეში. ამავე დროს ერთობლივი საწარმო საშუალებას მოგვცემს კომერციული საქმიანობიდან შემოსული დამატებითი სახსრები რესპუბლიკაში სურსათის შემოტანას მოვახმაროთ (მათ შორის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტითაც).

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის სამინისტროში თავმოყრილია სათანადო ინფორმაცია რესპუბლიკის ბაზრის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ემყარება სამინისტროსთან არსებული მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოკვლევებსა და პროგნოზულ გაანგარიშებებს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ამიტომ მიზანშეწონილია ჩვენმა სამინისტრომ განახორციელოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, უფრო ზუსტად საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო კოორდინაცია და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შესრულების კონტროლიც. როგორც უკვე გვიჩვენა პრაქტიკამ უახლოეს წარსულში, ამ ფუნქციების დაქსაქსვამ სხვადასხვა უწყებებს შორის სასიკეთო არაფერი მოგვიტანა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ლიცენზირება სახალხო მოხმარების საქონელზე, რესპუბლიკაში უნდა ხდებოდეს ვაჭრობის სამინისტროს მიერ, რაც წინადადების სახით მომზადებულია მთავრობაში გადასაწყვეტად.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ საერთო დეფიციტის აღმოფხვრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომერციული მუშაობის გააქტიურებას და ბაზრის ინტერესების შესაბამისად პროდუქციის შესყიდვების გაფართოებას. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— როგორც მოგახსენეთ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი უკიდურესად მერყევი ვითარების გამო მთლიანად მოიშალა ურთიერთობა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, რამაც ხელ-ფეხი შეუკრა კომერციული დარგის მუშაკთა ყოველგვარ ცდებს საქონლის გამოძებნისა და რესპუბლიკაში შემოზიდვის მხრივ.

საქართველო არასაიმედო პარტნიორის როლში აღმოჩნდა, რის გამოც ჩაიშალა მრავალი სავაჭრო გარიგება. უფრო მეტიც, რესპუბლიკის მრეწველობას არ გააჩნია იმ მოცულობის რეალური და კონკურენტუნარიანი სასაქონლო რესურსები, რომელთა ბარტერული გაცვლისთვის გამოყენება მოხსნიდა მოსახლეობის მომარაგებაში არსებულ დაძაბულობას. კილოგრამი ხორცის სანაცვლოდ ბარტერული გაცვლის დროს მოგვიწია 1 ლიტრი ლიმონათის ბოთლებში ჩამოსხმული არყის გაცემა, არადა, სტანდარტული ტარით უზრუნველყოფის პირობებში შესაძლებელი იყო უფრო ხელსაყრელი შეფარდებითი გაცვლა.

შექმნილი სირთულეების მიუხედავად გადადგმულია რეალური ნაბიჯები უცხოელ პარტნიორებთან შაქრის, ზეთის, ხორცის, კარაქის, საშენი მასალის და სხვა სახის სამრეწველო საქონლის შემოზიდვაზე. კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასთან გაფორმებულია კონტრაქტი რესპუბლიკაში შაქრის ფხვნილის შემოტანაზე. სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს და რესპუბლიკის არასახელმწიფო კომერციულ სტრუქტურებთან ერთობლივად განხორციელებული კონტრაქტების შედეგად რესპუბლიკაში მ/წელს შემოვა მილიონი ამერიკული დოლარის პირველადი მოთხოვნილების სასურსათო პროდუქტები (შაქარი, კარაქი და სხვა), აქედან მეტი ნაწილი გადაეცემა ვაჭრობის სამინისტროს მოსახლეობისათვის მისაღებ ფასებში სარეალიზაციოდ. კალინინგრადის თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწარმოებთან და მოქმედ საბაზრო სტრუქტურებთან მყარდება კონტაქტები ხელსაყრელ პირობებში ბარტერიული წესით სასურსათო რესურსების მოზიდვისა და ერთობლივი საწარმოების გახსნის თაობაზე. საერთოდ გვინდა, რომ ყველა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ქალაქებში ჩვენი მუდმივი წარმომადგენლები გვყავდეს. მოსაწონია მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს ინიციატივა საკუთარი წარმოების პროდუქციის გზით სხვადასხვა სახის სასურსათო საქონლის შემოზიდვის საქმეში. კერძოდ, მადნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატს ამჟამად რესპუბლიკაში შემოაქვს 400 ტონა საქონლის ხორცი, რომლიდანაც 136 ტონა უკვე მიღებულია. საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ რესპუბლიკაში შემოიტანა 300 ტონა ხორცი, ხოლო რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ სულ ახლახან 3,5 მლნ. დოლარის ლითონი გამოგვიყო რესპუბლიკისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის შესაძენად. იმედია მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

წლის განმავლობაში ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ვითვალისწინებთ 5,2 მილიონი მანეთის ტრიკოტაჟისა და წინდის ნაწარმის 207 მლნ. მანეთის საგალანტერეო საქონლის, 29 მლნ. მანეთის ავეჯის, 80 მილიონ მანეთამდე ფეხსაცმლის, 97 მლნ. მანეთის სამეურნეო საქონლის და ა. შ. შემოზიდვას. ამასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება რესპუბლიკის მრეწველობიდან 1,3 მილიარდი მანეთის სხვადასხვა სახის საქონლის სავაჭრო ქსელში შემოზიდვაზე.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საექსპორტო პოტენციალი დღეისათვის დაბალია და ამდენად სასაქონლო რესურსების ფორმირებისას მათზე დაყრდნობა მთლიანად არ შეიძლება. მარტივად რომ ვთქვათ, დღევანდელ კომერსანტს, რომელიც რაიმე სავაჭრო გარიგებას აკეთებს, უნდა ჰქონდეს ან თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, ან საქონელი ბარტერიული წესით გასაცვლელად. ჩვენ კი არც ერთი მათგანში არა გვაქვს საქმე სახარბიელოდ.

— ვინაიდან ამჟამად ყველა სახეობის ნაწარმზე დეფიციტია, ცხადია, სერიოზული სირთულეები შეიქმნა საქონელბრუნვისა და ფულის მიმოქცევის საქმეში. ასეთ ვითარებაში ბაზებიდან და საწყობებიდან ხომ არ ხდება სავაჭრო ობიექტებისთვის სასაქონლო მოწოდების ხელოვნურად შეფერხება? ეს ხომ ეკონომიკური საბოტაჟის ტოლფასი იქნება? როგორია თქვენი აზრი?

— როგორც მოგეხსენებათ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში რესპუბლიკაში დარღვეული იყო ნორმალური ცხოვრების რიტმი, რამაც ვაჭრობაზეც იმოქმედა. დარბეული და დახურული იყო სავაჭრო ობიექტები, არ ხდებოდა ნავაჭრი თანხების ინკასაცია და ობიექტების დაცვა, ტრანსპორტის შეფერხების გამო გაძნელებული და თითქმის შეუძლებელიც კი იყო საქონლის შეტანა სავაჭრო ქსელში, რის შედეგადაც საბითუმო რგოლში დაყოვნდა გარკვეული რაოდენობის საქონელი.

აღნიშნული რესურსების ნაწილი უკვე გავიდა სავაჭრო ქსელში, ხოლო გარკვეულ ნაწილს გამოვიყენებთ სასურსათო პროდუქტებზე გაცვლისთვის და ყველასათვის ცნობილი მოვლენების გამო მთაწმინდის რაიონში უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მომარაგებისათვის.

მერწმუნეთ, რომ ჩვენ კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ ვაჭარი ეს ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია თავისი უხეირო საქმიანობით ერთ დღეში გაანაწყენოს ხალხი ხელისუფლებაზე.

— თბილისში რუსთაველის გამზირზე მდებარე მრავალი შენობა დაინგრა, დედაქალაქის ვაჭრობის სამმართველო ვაჭრობის სამინისტროს დახმარებით გარკვეულ უფასო მომსახურებას უწევს დაზარალებულებს. იქნებ კონკრეტულად აგვიხსნათ, რით გამოიხატება ეს ქველმოქმედება?

— გასული წლის 22 დეკემბრიდან 6 იანვრამდე ქ. თბილისში ცნობილი მოვლენების გამო დაინგრა, ხანძრის შედეგად დაზიანდა და გაიძარცვა 87 სავაჭრო ობიექტი. საქონლის დატაცებების გარდა, მაღაზიებში ჩაიმსხვრა მინები, დაზიანდა და გაფუჭდა ბევრი სავაჭრო ტექნოლოგიური მოწყობილობა. ზარალის თანხამ 60 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების უზრუნველსაყოფად თბილისის ვაჭრობის სამმართველოსთან გახსნილია სპეციალური ანგარიში, სადაც სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით თბილისისა და რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები შესაძლებლობის ფარგლებში რიცხავენ თანხებს, რითაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სახსრები დაეზოგება.

ამა წლის თებერვლისთვის უკვე აღდგენილია და ფუნქციონირებს 62 ობიექტი.

მთაწმინდის რაიონის დაზარალებული მოსახლეობის მომსახურების და საქველმოქმედო ღონისძიებების მიზნით გათვალისწინებული გვაქვს სხვადასხვა სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაცემა.

ამჟამად რესპუბლიკური საბითუმო ბაზებიდან ორ მაღაზიაში შემოზიდული იქნა და რეალიზებულია მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, მათ შორის 3900 წყვილი ფეხსაცმელი, 800 ერთეულამდე ტანსაცმელი, 600 ერთეულამდე ელექტროგამთბობი საშუალება და სხვა საოჯახო დანიშნულების საქონელი; ყველა დაზარალებულ ოჯახს მიეყიდება სარეცხი მანქანა. საერთო ჯამში საქველმოქმედო წესით გაიცემა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი.

საქართველო არასაიმედო პარტნიორის ხელში აღმოჩნდა, რის გამოც ჩაიშალა მრავალი სავაჭრო გარიგება. უფრო მეტიც, რესპუბლიკის მრეწველობას არ გააჩნია იმ მოცულობის რეალური და კონკურენტუნარიანი სასაქონლო რესურსები, რომელთა ბარტერული გაცვლისათვის გამოყენება მოხსნიდა მოსახლეობის მომარაგებაში არსებულ დაძაბულობას.

ხსენებული საქონლის გაცემა დაზარალებულ მოსახლეობაზე მოხდა ქ. თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი სიების საფუძველზე. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამავე მიზნით წარიმართება რესპუბლიკურ გაერთიანება „ავეჯში“ არსებული საქონლის რესურსებიც, და მას ქალაქის მერია გაანაწილებს, ნაშთიც მთლიანად მათ გადაეცათ. მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილება ერთგვარად არ წარმოადგენს საუკეთესო ვარიანტს, ვინაიდან მისი გარკვეული რაოდენობა ფაქტობრივად უკვე განაწილებულიც კი იყო მოსახლეობისთვის (თუმცა, ამ მომენტისათვის გამოსყიდული არ ჰქონდათ), მაგრამ ადამიანური და მორალური თვალსაზრისით მართებულად მიგვაჩნია დაზარალებული ოჯახებისთვის ავეჯის გადაცემა, რომელიც ქ. თბილისის მერიამ უნდა მოახდინოს. რესურსების გამოძებნის სხვა გზა არა გვაქვს. ვიმედოვნებთ, ყოველივე ამას გაგებით მიუდგება ყველა, ვინც ამ შემთხვევაში ვერ მიიღებს მისთვის გამოყოფილ ავეჯს, რადგან ერისთვის გაჭირვების ჟამს თითოეული მოქალაქე მოვალეა გაიზიაროს და თანადგომა გაუწიოს ყველას, მის გვერდში მყოფ დაზარალებულ ადამიანს.

— როგორ ფიქრობთ პრივატიზაციაზე გადასვლას? თუ პროდუქტი არ იქნება, რით ივაჭრებენ კერძო მესაკუთრენი?

— თქვენ შეკითხვას ასე დავაკონკრეტებდი. პრივატიზება და კერძო საკუთრების ფორმებზე გადასვლა როგორ შეუწყობს ხელს სამომხმარებლო ბაზრის გაჯერებას?

როგორც უკვე მოგახსენეთ, სამინისტრომ შეიმუშავა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის კონცეფცია და კონკრეტული პროგრამა. ეს ურთულესი პროცესია, ჩვენ ამაზე კვლავ ვმუშაობთ და მალე წარვუდგენთ მთავრობას განსახილველად, სადაც ჩვენი წინადადებები გაივლის აპრობაციას, დაიხვეწება და მიიღებს საბოლოო სახეს.

ჩვენი მოსაზრებით, საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების თანმიმდევრული, ეტაპობრივი განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე კერძო საკუთრებაში გადაცემის დროს პრიორიტეტით უნდა ისარგებლონ შრომითმა კოლექტივებმა, აგრეთვე უნდა მოხდეს ობიექტების გაყიდვა კონკურსებისა და აუქციონების წესით.

საწყის ეტაპზე პრივატიზების პარალელურად უნდა განხორციელდეს სავაჭრო ობიექტების გადაყვანა საიჯარო ურთიერთობაზე, მათთვის სრული სამეურნეო და კომერციული დამოუკიდებლობის მინიჭებით და კოლექტივისათვის ობიექტის შემდგომი გამოსყიდვის უფლების გადაცემით. ეს ფორმა უზრუნველყოფს ღრმა პროფესიონალიზმის შენარჩუნებას დარგში და ვაჭრობის მუშაკთა სოციალური ინტერესების დაცვას. გარდამავალი პერიოდის შემდგომ ეტაპზე მოხდება არასასურსათო საქონლით მოვაჭრე საბითუმო რგოლის საბაზრო სტრუქტურებზე გადაყვანა, რომლის ერთ-ერთი წინამძღვარია „სავაჭრო სახლების“ შექმნის პროცესი.

სავაჭრო სახლი კოლექტიური მართვის კოლეგიური ორგანოა, აერთიანებს საცალო ვაჭრობისა და საბითუმო რგოლის ინტერესებს და ამასთანავე იქმნება საბაზრო სტრუქტურის (სააქციო საზოგადოების) ჩამოყალიბების წანამძღვარი. მიღებული შედეგების განზოგადება საფუძვლად დაედება შემდგომში საბითუმო რგოლის სხვა სახეცვლილებებს. სავაჭრო სახლი მასში გაერთიანებულ ობიექტებს მისცემს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და კომერციული საქმიანობის განხორციელების სრულ თავისუფლებას, აღმოფხვრის მრავალრგოლიანობას და გააფართოებს ობიექტების მოქმედების დიაპაზონს. ახალმა სტრუქტურებმა უნდა წარმოაჩინოს ინიციატივიანი, გამრჯე და ალღოიანი კომერსანტები.

— და ბოლოს, იქნებ კიდევ რაიმეს თქმა გსურდათ, როგორც დარგის ახალ ხელმძღვანელს, ჩვენი მკითხველისთვის?

— ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, თუ რა სიძნელეები ახლავს სოციალისტური სისტემის დაშლას. ჩემი ღრმა რწმენით, ზ. გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობდა სოციალისტური სისტემის სახეშეცვლილი ფორმით აეშენებინა პრაქტიკულად იმავე ბუნების მქონე, ოღონდ თავისთვის მორგებული „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ მაგვარი სისტემა. ასე რომ, პრაქტიკულად დღეს ვიწყებთ იმ ურთულესი პროცესებისთვის მზადებას და მის რეალურად გატარებას ცხოვრებაში, რომელსაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ჰქვია.

როგორც ვხედავთ, ჩამოვრჩით საბაზრო ურთიერთობისაკენ მიმავალ მატარებელს, და თუ გამოვიყენებთ ბატონი აკაკი ბაქრაძის გამოთქმას, ახლა მას როგორმე უნდა დავეწიოთ და ბოლო ვაგონს მაინც შევახტეთ, თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ, ეს გაცილებით ძნელი და რთული საქმეა, ვიდრე თავის დროზე დინამიკურად და აუჩქარებლად რომ დაწყებულიყო გასაკეთებელი საქმე.

ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ის ერთი საუკეთესო წელი, რომელიც ასეთ დავიდარაბაში გავიარეთ, ნაცვლად წინსვლისა, უკან წავედით, და ამას ყველაზე უკეთ ვაჭრობის დარგი გრძნობს, რადგან სწორედ ის არის სარკე მთელ სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ურთულესი პროცესებისა, და გამომდინარე აქედან, საზოგადოება ეკონომიკურ გაჭირვებას პირველ რიგში ვაჭრობის დარგიდან გებულობს.

ალბათ, თქვენც ხშირად გითქვამთ ან მოგისმენიათ ამა თუ იმ საქონლის შეძენის გრძელ რიგში მდგომი მყიდველის აუგი ნათქვამი ვაჭრობის მუშაკზე, სხვადასხვა საქონლის დახლიდან გაქრობის შემთხვევაშიც. სამწუხაროდ ბევრმა ჩვენგანმა კარგად არ იცის, რომ ამა თუ იმ სახალხო მოხმარების საქონლის დეფიციტურობა უწინარესად მისი მწარმოებელი სოფლის მეურნეობის თუ მრეწველობის დარგის მიზეზითაა და სწორედ იქიდან უნდა დავიწყოთ საქმიანობა მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორებისათვის.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ყველა პრობლემის (რომლებიც სურსათით თუ სამრეწველო საქონლით მოსახლეობის მომარაგებაშია შექმნილი) ერთადერთი მიზეზი მწარმოებელი იყოს. განა იმაში ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ, მათ და სამწუხაროდ, უამრავი ობიექტური მიზეზები აქვთ.

ათეული წლების განმავლობაში საზოგადოების დიდ ნაწილს ვერ წარმოედგინა სახელმწიფო სტრუქტურებისგან დამოუკიდებლად მოქმედი და მოღაწე ადამიანი. ამის არ უნდა გვეშინოდეს, არამედ ყველაფრით და ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროცესს. ვფიქრობ, ეს არის დღევანდელი ხელისუფლების უპირველესი ამოცანა, რისიც ასე ძალიან ეშინოდა და ყოველნაირად ხელს უშლიდა წინა ადმინისტრაცია.

ჩემი ღრმა რწმენით, ამიტომაც დაშორდნენ ისინი საზოგადოების ინტერესებს, გაირიყნენ, შეიქმნა სრული განუკითხაობა. ამიტომ ვერ შეეგუა შექმნილ მდგომარეობას საზოგადოების ვერც ერთი ფენა და ვერც ერთი საღად მოაზროვნე მოქალაქე.

ადამიანი თუ დამოუკიდებელი არ გახდა, თუ მისი შრომა არ განთავისუფლდა სახელმწიფო სტრუქტურების დიქტატისგან, ძალიან გაგვიჭირდება და, რაც მთავარია, მომავალი არ გვექნება.

გასულ წლებში ინიციატივიანი, საქმიანი და ალღოიანი ადამიანი, რომელიც ცდილობდა დაერღვია დრომოჭმული ხელოვნური შეზღუდვები და ზევიდან დიქტატი, სახელმწიფო ბიუროკრატიული მექანიზმის მიერ ფასდებოდა როგორც „საქმოსანი“, რომელიც თითქოს უპირისპირდებოდა საზოგადოების ინტერესებს და ძირს უთხრიდა ეკონომიკას. ასეთმა მიდგომამ ჩაკლა ეკონომიკური აზროვნება და კომერციული ნიჭი. არ არსებობდა ზემოქმედების ეკონომიკური ბერკეტები, რის გამოც ის მოქცეული იყო მარწუხებში.

ამჟამად იცვლება ეკონომიკური მდგომარეობა, უნდა დავძლიოთ ძველი სტერეოტიპები და ხვალ ეგრეთ წოდებული „საქმოსანი“ ჩვენს თვალში უნდა წარმოჩინდეს, როგორც კარგი მეურნე და კომერსანტი. ასეთი კატეგორიის ხალხი დღეს უკვე ყველა დარგში სანთლით საძებარია, მაგრამ იმედია, კერძო სექტორის გაფართოება, საკუთრების ფორმების შეცვლა გამოავლენს ინიციატივიან მეურნეებს.

კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე ზემოთქმულს და ხაზგასმით აღვნიშნო: დიდი იმედი გვაქვს რესპუბლიკაში არსებული ყველა ფირმის, ერთობლივი საწარმოების, კოოპერატივების, საშუამავლო თუ სააქციო საზოგადოებებისა, ყველა იმ ორგანიზაციისა, რომელთაც საქმიანი კავშირი აქვთ ამა თუ იმ პროდუქციის გამოშვებასთან თუ რესპუბლიკის გარედან შემოტანასთან. ჩვენ მათთან თანამშრომლობა გვინდა, მოკლედ, ვინც ვაჭრობით რაიმე ბიზნესის გაკეთებას აპირებს (სიტყვები ნუ შეგაშინებთ), ყველასთვის ჩვენი კარი ფართოდაა გაღებული. მობრძანდით და ვითანამშრომლოთ ურთიერთხელშეწყობით და ურთიერთდაინტერესებით.

დღეს სიღარიბეს უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა, უფრო სწორად, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი, რათა ყველამ ხელი გამოიღოს, თავისი გონებისა და უნარის მიხედვით იშრომოს და მიიღოს ყველაფერი ის, რისი გაკეთების თავი და სურვილი აქვს.

გულახდილად ვიტყვით, უნდა შევეგუოთ იმ აზრსაც, რომ ჩვენთანაც, როგორც ყველა სხვა ნორმალურ ქვეყანაში, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიც იქნება, საშუალო ფენაც და მდიდარიც. ღმერთმა ქნას, რომ ქართველი ხალხის ნიჭმა და უნარმა ბიზნესისკენაც მოიხედოს, და ეჭვი არ მეპარება, რომ ქუჩაში უსაქმოდ მოსიარულე, მიტინგების მოყვარული ხალხი ჭარბ ენერგიას თავის საქმეს და საბოლოო ჯამში თავის ოჯახს მოახმარს.

შეიძლება რაღაც სადავოს ვამბობდე და ზოგი არც დამეთანხმოს, მაგრამ ამის არ უნდა შეგვეშინდეს, უნდა მივეჩვიოთ აზრთა სხვადასხვაობას და საქმიანი კამათით ჭეშმარიტებამდე მივიდეთ.

სავსებით ვუჭერ მხარს დროებითი მთავრობის იმ არაერთ განცხადებას, რომ მთავარია დავიწყოთ, გაბედულად გადავდგათ თუნდაც პირველი ნაბიჯი საბაზრო ურთიერთობაზე გადასასვლელად. სხვა ალტერნატიული გზა არ არის ამ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა, თუმცა პირველი ორი წელიწადი, ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება. ამას დამალვა არ უნდა და საზოგადოებამ ეს კარგად უნდა გაითვითცნობიეროს.

დასასრულ, შეიძლება სანუგეშო ბევრი ვერაფერი ვამცნეთ ჩვენს მკითხველს, მაგრამ უიმედობაც არ ეგების. ამის თქმის უფლებას გვაძლევს სისტემის მუშაკთა განახლებული შემადგენლობა და მათი პროფესიული თანადგომა. თუ ნათქვამს გაცვეთილ დაპირებებად არ ჩაგვითვლით, მთელ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ქვეყნის ხვალინდელ ეკონომიკურ ძლიერებაში იმ წვლილის შეტანას, რომელიც დარგს აკისრია.

ესაუბრა
ლალი ქინქლაძე.

მწარე სიმართლე ლამაზ ტყუილს მუდამ სჯობდა

ისევ ჩვენი ბინების თაობაზე

ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაზე პრესასა თუ რადიო-ტელევიზიაში ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ჩვენი გაზეთის რედაქციაში მაინც არ წყდება წერილების ნაკადი.

ამის გამო ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსს ბატონ თეიმურაზ ჯაფარიძეს.

— ბატონო თეიმურაზ, როგორც ცნობილია, ამ 2-3 წლის წინათ საქართველოში პირველი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა მობინადრეთა მიერ სახელმწიფო ბინების შესყიდვის გზაზე. მოკლედ გვითხარით, როგორი იყო პრივატიზების მაშინდელი პრინციპი და რას აძლევდა ეს სახელმწიფოსა და ხალხს?

— უწინარესად უნდა ითქვას, რომ ამჟამად საქართველოში ექსპლუატაციაშია 100 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საბინაო ფონდი. აქედან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის წილად მოდის 24 მილიონი კვადრატული მეტრი. ამ ოცდაოთხიდან ნავარაუდევი იყო 20 მილიონის გაყიდვა, თანაც ყოველი კვადრატული მეტრისა — 200 მანეთად. ამით სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღებდა 4 მილიარდ მანეთს, რითაც შესაძლებელი გახდებოდა დაახლოებით 100 ათასი სამოთახიანი ბინის აშენება, რაც რესპუბლიკაში ძირითადად გადაწყვეტდა საბინაო პრობლემას.

— მაშ რატომღა ვთქვით ამ ვარიანტზე უარი?

— საქმე ის გახლავთ, რომ მოხდა ფასების გლობალური ლიბერალიზაცია. თითქმის ნებისმიერი სახეობის პროდუქცია თუ მომსახურება, მათ შორის პირველი მოხმარების საგნებიც კი, ერთიათად და მეტადაც გაძვირდა. საოჯახო ბიუჯეტები კი მაქსიმუმ 2-3-ჯერ თუ გაიზარდა. ზოგიერთ სხვა არსებით მომენტთან ერთად სწორედ შემოსავალ-გასავლის ეს დისბალანსიც გაითვალისწინა მთავრობამ და გადაწყვიტა ბინების უსასყიდლოდ გადაცემა.

— კონკრეტულად როდის დაიწყება და რამდენ ხანს გაგრძელდება პრივატიზაცია?

— დადგენილებაში ამის კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის. მაგრამ რომც იყოს, ჩვენი ღრმა რწმენით, პრივატიზაციის დაწყებამდე უნდა შემუშავდეს და წესისამებრ დამტკიცდეს ამ დადგენილების ხორცშესხმის მექანიზმი. რაც მთავარია, უნდა გადაწყდეს, თუ ვინ და რა სახსრებით მოუვლის ამ ვეებერთელა საბინაო ფონდს.

— ამ საკითხზე ჩვენც ბევრი გვწერს. პირადად თქვენი აზრით, რა და როგორ უნდა გაკეთდეს საამისოდ?

— საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისთვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დოტაციის სახით ყოველწლიურად გამოიყოფოდა 60-70 მილიონი მანეთი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სათანადო სამუშაოთა ის მოცულობა, რომლებიც ამ თანხით სრულდებოდა, და, რაც მთავარია, მათი ხარისხი, ყოვლად შეუწყნარებელი იყო. მაგრამ თუ ამჟამინდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, თვით უწინდელი არასაკმაო მოცულობისა და უხარისხო სამუშაოთა შესრულებისთვისაც კი 10-15-ჯერ მეტი თანხაა საჭირო.

უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე მობინადრე ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით სარგებლობისთვის ყოველთვიურად იხდიდა 13,2 კაპიკს, ანუ წელიწადში 1,5 მანეთს. საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები კი, რომლებიც ამ ბინებს უვლიდნენ, მარტო ტექნიკური მომსახურებისთვის (მიმდინარე რემონტი, პროფილაქტიკური დათვალიერებები, ნაგვის გატანა, სანიტარიული დასუფთავება, ლიფტის საექსპლუატაციო ხარჯები, საპასპორტო რეჟიმი და სხვა), კაპიტალური რემონტის ჩაუთვლელად, ყოველწლიურად 3-4, ხოლო კაპიტალური რემონტის გათვალისწინებით კი 8-9 მანეთსაც ხარჯავდა. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ესეც არ კმაროდა, და მოსახლეობაც სავსებით სამართლიანად უკმაყოფილო რჩებოდა. ზემოაღნიშნულ ციფრებს შორის სხვაობას კი ძირითადად ბიუჯეტი ფარავდა.

ამიტომ, თუ მოქალაქემ ბინა პირად საკუთრებაში მიიღო, ცხადია, მან რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებიც თვითონ უნდა გაიღოს. მაგრამ დღევანდელ ფასების პირობებში ეს თითქმის წარმოუდგენელია, რადგან ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ტექნიკური მომსახურებისათვის მობინადრემ უკვე უნდა გადაიხადოს სულ ცოტა 60-80 მანეთი, ნაცვლად ადრე ბინის ქირის სახით გადასახდელი მანეთნახევრისა.

— მაშ, როგორ უნდა მოევლოს საქმეს? თქვენი აზრით, სად არის გამოსავალი?

— ჩვენი აზრით, გარდამავალ პერიოდში, უახლოესი 4-5 წლის მანძილზე მაინც, ვიდრე მყარი საბაზრო კურსი არ ჩამოყალიბდება და ნებისმიერი ოჯახის შემოსავალ-გასავალი რამდენადმე მაინც არ დაბალანსდება, პრივატიზებული სახლების ძირითადი კონსტრუქციების (სახურავი, საძირკველი, მზიდი კედლები, სართულებშუა გადახურვა, შიდასაინჟინრო კონსტრუქციები, ფასადი და სხვა) შერჩევითი კაპიტალური რემონტი სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გაკეთდეს. ამასთანავე, ამავე პერიოდში ტექნიკური მომსახურებისათვის მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელსაც იგი ამჟამად ბინის ქირის სახით იხდის. შემოსავალსა და გასავალს შორის განსხვავება კი ამ შემთხვევაშიც ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა დაფაროს.

მოითხოვს ყურადღებას

— მაგრამ, თუ მას ამის საშუალება არა აქვს?

— მაშინ, ჩვენი აზრით, არც პრივატიზაცია დაიწყება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დაიწყოს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მალე ადვილი მოსალოდნელია ერთისამად და მეტადაც კი გაიზარდოს კომუნალური მომსახურების ქირა, ხალხი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. იგი უბრალოდ ვერ შეძლებს ამის გადახდას.

— რაკი ეს თქვენი აზრია, და თანაც სავსებით სამართლიანი, მაშინ იქნებ ისიც გვითხრათ, რა და როგორ კეთდება ვითარების მოწესრიგებისათვის?

— ჩვენს სამინისტროს და მისი კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანებას კონკრეტული წინადადებები შეაქვს მინისტრთა კაბინეტში. შემუშავებული გვაქვს დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“, რომელმაც რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში გარკვეული აპრობაცია უკვე გაიარა. მასში ყველა ეს მომენტი ასახულია. დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყდება.

— მაგრამ, ბატონო თეიმურაზ, ვთქვათ და, თქვენი ეს დებულება ვერ გავიდა. მაშინ რა ელის ხალხს?

— მწარე სიმართლე ლამაზ ტყუილს მუდამ სჯობდა. ახლა კი მით უფრო არ არის მიკიბვ-მოკიბვის დრო. ამიტომაც პირდაპირ ვიტყვი: თუ ჩვენი დებულების მოთხოვნები არ შესრულდა, მაშინ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბინის პირად საკუთრებაში მიღების შემთხვევაში მან ამჟამინდელთან შედარებით რამდენიმე ათეულჯერ მეტი უნდა გადაიხადოს ქირის სახით.

— კი, მაგრამ, თუ მოსახლეობის თუნდაც ერთ ნაწილს მაინც ამის არც შესაძლებლობა აქვს და არც სურვილი?

— მაშინ, იგი, ალბათ, სახელმწიფო საბინაო ფონდის დამქირავებლად დარჩება. მაგრამ აქაც სერიოზული გაძვირებაა მოსალოდნელი, რადგან ამჟამინდელი ბინის ქირის მოცულობა თითქმის 65 წლის წინათ არის დადგენილი. მას შემდეგ კი რაც მოხდა და ხდება, ყველანი კარგად ვხედავთ.

ამიტომაც, როგორც ითქვა, უახლოესი 4-5 წლის მანძილზე მაინც ყველა ეს ხარჯი სახელმწიფომ უნდა იკისროს, თორემ ხელფასებიც გასავლის შესაბამისად უნდა გაიზარდოს. არის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, მაგრამ ეს მთავარია. თუ იგი უახლოეს პერიოდში დადებითად არ გადაწყდა, მაშინ პრივატიზებაც უნდა გადაიდოს.

— ბატონო თეიმურაზ, ვთქვათ და, ყველა ეს საკითხი ოპერატიულად და დადებითად გადაწყდა. მაგრამ მაშინაც, თქვენი აზრით, რამდენად გამართლებული იქნება მთელ რესპუბლიკაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ბინების პრივატიზაციის დაუყოვნებლივ დაწყება ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავადაც კი? ამ შემთხვევაში ძირითადად მხედველობაში მაქვს ჩვენი საცხოვრებელი სახლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის ერთობ სავალალო ტექნიკური მდგომარეობა. ბევრგან ხომ სარდაფები დატბორილია, საძირკვლის სიმტკიცე — დარღვეული, კედლები — დამსკდარი და ა. შ. ყოველივე ამის გამოსწორებას კი დიდძალი ფული და შრომა უნდა, რაც წლების მანძილზე თვით სახელმწიფოსაც უჭირდა. ხალხმა კი როგორღა გააკეთოს ყველაფერი ეს?

— გეთანხმებით, და კიდევ ერთხელ გავიმეორებ ნათქვამს: სახელმწიფომ ამ მხრივაც უნდა გააკეთოს იგივე, რაც სახელმწიფო საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით ითქვა. სხვაგვარად არაფერი გამოვა. ხალხი საკუთარი ძალებითა და თანხით ვერაფერს შეძლებს და სულ რაღაც 10-15 წლის შემდეგ ძველებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ახალაშენებული სახლებიც სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

— ბატონო თეიმურაზ, მნიშვნელოვანი საკითხი კიდევ ბევრია, მაგრამ ყველაფერს ერთ საგაზეთო მასალაში ცხადია, ვერ შევეხებით. ამიტომ ახლო მომავალში, როდესაც ბევრი რამ გაირკვევა, შესაძლოა ისევ მოგვიხდეს ინტერვიუსთვის თქვენი შეწუხება. ახლა კი, გთხოვთ, უპასუხოთ ბოლო კითხვას, რომელიც რედაქციაში შემოსული მრავალი წერილის ავტორებს აინტერესებთ: ისინი გვწერენ, — ჩვენ, ვინც საკუთარი ფულით უკვე შევიძინეთ სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ბინა, დაგვიბრუნდება თუ არა ეს თანხა, რაკი ამჟამად ბინები ყველას უფასოდ ეძლევა?

— ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის მთავრობის დადგენილებაში გარკვეული შეღავათებია დაწესებული. რაც შეეხება მათთვის ფულის დაბრუნებას, როგორც ჩვენი საუბრის დასაწყისში აღვნიშნეთ, სახელმწიფომ ხალხის სასარგებლოდ უკვე თქვა უარი 4 მილიარდ მანეთზე, რომელიც დღეს ათჯერ მეტი მაინც „ღირს“. ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით კი იგი ვერ შეძლებს ამ ადამიანებისთვის ფულის დაბრუნებას.

ესაუბრა
რუსლან რუსია.

გამსახურდია აფხაზურად ალაპარაკდა

ბევრმა თქვა, თუ იმით ვიმსჯელებთ, რა გაჭირვებით კითხულობდა ზ. გამსახურდია მიმართვის ტექსტს, მის მიერ აფხაზური ენის ცოდნას პირობითი შეიძლება ვუწოდოთო

28 თებერვალს აფხაზეთის ტელევიზიით ნაჩვენებმა საქართველოს დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას აფხაზ ხალხისადმი მიმართვის ვიდეოჩანაწერმა, რომლის ტექსტი მან დამტვრეულ აფხაზურ ენაზე წაიკითხა, ავტონომიური რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის სხვადასხვაგვარი აზრი, ვარაუდები და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მით უმეტეს, რომ საუბარი მარტო აფხაზებისათვის არ ყოფილა განკუთვნილი, რადგან მოსკოველი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ ვიდეოჩანაწერს საქართველოში თან სდევდა რუსულ ენაზე რუსული ტექსტის ჩანაწერი.

ქართული მოსახლეობის ის ნაწილიც კი, რომლის უმრავლესობა ექს-პრეზიდენტს უჭერს მხარს, ესოდენ მოულოდნელი გამოსვლის შედეგად მაინცდამაინც აღტაცებული არ დარჩენილა. მხოლოდ მისი ცალკეული თავგამოდებული მომხრეები, რათა არ შელახონ თავიანთი კერპის პრესტიჟი, ამბობენ, მნიშვნელობით შორს გამიზნული დიპლომატიური დოკუმენტიაო.

ახლა თუ ისე, როგორც ჩანს, ამაზე ჩვენ კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმათ, ვისაც ესოდენ უცნაური მიმართვა ეკუთვნის.

ამიტომაც მისთვის გვერდი არ აუვლია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ორგანოს გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიას“. თავის პუბლიკაციაში სათაურით „ზვიად გამსახურდია აფხაზურად ალაპარაკდა“, გაზეთი, კერძოდ, წერს: გასულ კვირაში ჟურნალისტურ და პოლიტიკურ წრეებში ბევრი სჯა-ბაასი იყო იმაზე, აჩვენებდნენ თუ არა ამ ვიდეოჩანაწერს აფხაზური ტელევიზიით, რომლის თანამშრომლებსაც ეს ვიდეოკასეტა გადასცეს. იყო საწინააღმდეგო აზრი ჩვენების მიზანშეწონილობის შესახებ. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ჩანაწერი გადაიცა, ამასთან მას არ ჰქონია არავითარი წინასიტყვაობა და კომენტარი.

თავდაპირველად ზ. გამსახურდიამ რუსულ ენაზე მაყურებლებს ბოდიში მოუხადა თავის გამოსვლაში შესაძლო ენობრივი შეცდომებისათვის, შემდეგ აფხაზურ ენაზე წაიკითხა მიმართვის ტექსტი. მან თქვა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ისტორიულად მუდამ კეთილი ურთიერთობა იყო, რომ ისინი გაჭირვების ჟამს ეხმარებოდნენ ერთმანეთს. დამხობილმა საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის მოსახლეობას მოუწოდა მიმართონ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციებს საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობისადმი, რომელსაც მან ხუნტა უწოდა და რომლის დღეები, როგორც მან თქვა, დათვლილია. მან განაცხადა, რომ „კანონი და კანონიერება გაიმარჯვებს“, რომ „დროებითი მთავრობა აფხაზეთს არ მიანიჭებს სახელმწიფოებრიობას“.

თუ აფხაზებზე ვილაპარაკებთ, ალბათ, ისიც კი, ვისაც ძალიან სურს ყოველივე იწამოს, არ შეხვედრია მის სიტყვებს ენთუზიაზმით. უმრავლესობას არც დაუმალავს თავისი გაკვირვება და ირონია. ბევრმა თქვა, თუ იმით ვიმსჯელებთ, რა გაჭირვებით კითხულობდა ზ. გამსახურდია მიმართვის ტექსტს, მის მიერ აფხაზური ენის ცოდნას პირობითი შეიძლება ვუწოდოთ. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, „აიდგილარას“ ვიცე-თავმჯდომარემ ზ. აჩბამ, რომელსაც, სხვათა შორის, არაერთგზის აღუნიშნავს, ხელისუფლებისაგან საქართველოს პრეზიდენტის ჩამოცილების ფორმას არ ვიწონებო, თქვა: მაკვირვებს, რომ ზვიად გამსახურდიას აფხაზებისათვის აფხაზურ ენაზე მიმართვის სურვილი გაუჩნდა მხოლოდ ახლა, როცა იგი ემიგრაციაში აღმოჩნდა. ზ. აჩბამ წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც, ალბათ, ბევრს სურდა ეთქვა ამ ვიდეომიმართვის ჩვენების შემდეგ: „თუ ზვიადმა აფხაზური ენა იცოდა, წინათ რატომ არ ამჟღავნებდა ამას და აფხაზებს არ მიმართავდა მათ მშობლიურ ენაზე?“ „აიდგილარას“ ვიცე-თავმჯდომარემ თქვა, რომ ორი წლის წინათ თბილისში შეხვდა ზვიად გამსახურდიას, როცა იგი ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში არ იყო. მაშინ რატომღაც არ მოისურვა აფხაზისათვის რაიმე ეთქვა აფხაზურ ენაზე.

ბევრმა აფხაზმა აღნიშნა, რომ ეს ვიდეომიმართვა სულაც ვერ უკავშირდება პოლიტიკას, რომელსაც ზ. გამსახურდია ახორციელებდა აფხაზეთისა და აფხაზთა მიმართ თავისი პრეზიდენტობის პერიოდში, იმ სიტყვებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ ამბობდა.

თენგიზ ჯიბუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ერის გასაგონად

საქართველომ უნდა მოიკრიბოს პოლიტიკური გონი

ჯანსუღ ღვინჯილია

ჩვენ ვერ გამოგვაფხიზლა თავის დროზე ვერც ილია ჭავჭავაძის და ვერც ნიკო ლორთქიფანიძის ელვარე ნიჭიერებით გამოხატულმა მითითებამ — ჩვენს წინ უფსკრულია და შესაძლოა გადავიჩეხოთო! ვერც სხვა დიდი მამულიშვილების მიერ დარისხებულმა ზარებმა, რომ გამოვფხიზლებულიყავით, ასეთ უბედურ დღეში არ ჩავცვივდებოდით.

იქნებ თავად უფსკრულის ქშენამ წამოგვყაროს ფეხზე, დალუპვის შიშით აკივლებულნი, და მოვიფშვნიტოთ სასწრაფოდ ეს საუკუნოვანი ძილისგან მიბლეტილი თვალები!

იმპერიის ძალებმა მიაღწიეს თავიანთ საწადელს.

საქართველოს პოლიტიკური ძალები დაქსაქსულია!

პოლიტიკური გონი დაგვეფანტა.

მე საგანგებოდ განვასხვავებ ერთმანეთისგან იმპერიულ ძალებს და დემოკრატიულ რუსეთს, რომელიც, საბედნიეროდ, არსებობს. იმპერიული ძალები თავად რუსეთს ღუპავენ, რა დღეს დააყრიან ისინი საქართველოს!

იმპერიული ელიტა ოცნებობს, მთელი მსოფლიოს ოკეანეები და ზღვები შემოსალტოს რუსეთის სამხედრო წყალქვეშა ნავებით, რომლებიც, თუ საჭირო იქნა, წყლის ზედაპირზე ამოვლენ და ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერ კონგრესს გადააყენებენ მექანიკურად. ასეთ რამეზე მეოცნებე არსი მარტოოდენ ოცნებას არ სჯერდება. მას დასახული აქვს პრაქტიკული, მრავალწახნაგოვანი, მრავალეტაპობრივი, დინამიკური გეგმა და ცდილობს პუნქტობრივად განახორციელოს იგი.

აი, ამ პლანეტარული, თვით კოსმოსური მასშტაბის სტრატეგია და ტაქტიკა არის დამიზნებული საქართველოს.

დამიზნებულია იმიტომ, რომ რამდენიმე საუკუნეა ამიერკავკასია და თურქეთი მსოფლიოს უპირველეს სტრატეგიულ პუნქტად არის მიჩნეული.

ჩვენი გეოპოლიტიკური პოზიცია მაქვს მხედველობაში.

ახლა გამოვიტანოთ დასკვნა: ასე ადვილად შეუშვებს ხელს იმპერიული ელიტა რუსეთის უპირველეს სტრატეგიულ პუნქტს?

არც შეუშვებს და არც ფიქრობს ხელის შეშვებას!

როგორც კი გულით მოვიწადინეთ დამოუკიდებლობის მოპოვება, დაიწყო აქტიური მოქმედება. თავს არ შევაწყენთ დაკონკრეტებით, ვიცით ყველამ, რა ფაქტებით გამოიხატა იგი.

ჩვენ არც მაშინ ვიყავით ბედნიერი ხალხი, როდესაც აფხაზებთან დაგვაპირისპირეს, არც მაშინ, როდესაც ოსებს წაგვკიდეს, არც მაშინ, როდესაც თათრებთან წაგვაჩხუბეს. მაგრამ მთლად უბედურები ვართ ახლა, როდესაც ერთმანეთის სისხლი დაგვაღვრევინეს არა მარტოოდენ რუსთაველის პროსპექტზე. სამტრედიის, აბაშის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის... მიდამოები მოგვარწყვევინეს ერთმანეთის სისხლით, აგვაფეთქებინეს საკუთარი ძმების სახლები და ერთმანეთთან მისასვლელი ხიდები.

გვაჯობა იმპერიის გაქნილმა პოლიტიკამ, გადმოერია ჩვენში, დაგვავლო ღონიერი ტორები და ერთმანეთზე მიგვახეთქებინა თავები.

მაგრამ, თუკი ჩვენ ამ უბედურებას დავაბრალებთ მხოლოდ იმპერიულ ძალებს, ცენტრის ხრიკებს, მაშინ კიდევ უფრო დიდი უბედურების ღირსნი ვიქნებით.

ყველაფერი მისი — იმპერიის ბრალია, და მაინც: ყველაფერი ჩვენი ბრალია.

იმიტომ რომ უმთავრესია ჩვენი ბრალი:

საქართველოს დაფანტული აქვს პოლიტიკური გონი.

იმპერიის მასშტაბურ სტრატეგიას და ტაქტიკას ჩვენ ვერ დავუპირისპირეთ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება.

ჩვენ დღემდე არ გაგვიაზრებია, რას ნიშნავს ცნება — საქართველოს პოლიტიკური აზროვნება, იქნებ სულაც ფუჭი ტერმინი გვგონია იგი.

იმპერიის მრავალწახნაგოვან, მრავალეტაპობრივ, დინამიკურ გეგმას უნდა დაუპირისპირდეს საქართველოს პოლიტიკური აზროვნების მრავალწახნაგოვანი, მრავალეტაპობრივი, დინამიკური გეგმა!

საქართველომ უნდა მოიკრიბოს დაფანტული პოლიტიკური გონი.

იგი მართლა ჰგავს გოლიათს, რომელიც დარეტიანებულია მოულოდნელი ვერაგული დარტყმისაგან.

ქართველმა ერმა უნდა დაინახოს, უფსკრულის ქშენამ უნდა დაანახოს, დალუპვის შიშმა უნდა დაანახოს, რომ ერთადერთი გზა გადარჩენისა არის საქართველოს პოლიტიკური აზროვნების სრული მობილიზება!

საქართველოს პოლიტიკური აზროვნება უნდა დაუპირისპირდეს ჩვენკენ მომართულ ვერაგულ პოლიტიკას.

საქართველოს პოლიტიკური აზროვნება კი არის მთლიანობა და იგი მხოლოდ მაშინ არის მთლიანობა, როდესაც, შემადგენელი ძალების მკვეთრად განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, შიგნიდან გარეთ არის მიმართული და არა პირიქით.

დღეს საქართველოს პოლიტიკური ძალები ერთმანეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

იმპერიის ტაქტიკამ მიაღწია მიზანს.

გვაბურთავა, როგორც სურდა.

მწვავედ იჩინა თავი პოლიტიკური აზროვნების დეფიციტმა. ასეც იყო მოსალოდნელი. ორასწლიანმა დაქვემდებარებულმა ყოფამ მოსწყვიტა ქართველი ერი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. „არ გვჭირდებოდა" იგი! სულ ორი ათეული წელია, რაც საქართველოს პოლიტიკური აზროვნება ფეხს იდგამს. ცხადია, ძნელია უმაღლეს დონეზე ასულ პოლიტიკურ სკოლებთან დაპირისპირება, მით უმეტეს გატოლება.

ბოლო წლებში ისე მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს პოლიტიკური აზროვნების პოტენციალი, რომ არ შეიძლება მომავლის იმედი დაკარგო კაცმა, მაგრამ უმოკლეს დროში ვერც მოესწრებოდა და ვერც მოესწრო მუხლის გამართვა. გამოუცდელობის გამო გავამჟღავნეთ ჩვენი უმთავრესი მისწრაფება და იმპერიის გაქნილმა პოლიტიკამ შეძლო ჩვენთვის თავგზის აბნევა.

იმპერიის პოლიტიკამ ცივი გამოცდილება მოიმარჯვა, ჩვენ, აბა, საიდან გვექნებოდა ეს გამოცდილება. ემოციამ პოლიტიკური გონის ადგილი დაიჭირა ჩვენს ბრძოლაში და შედეგსაც ვხედავთ.

დღეს საქართველოს წინაშე დამნაშავე იქნება ის, ვინც დაუჭერს მხარს ერთ რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს მეორის გასანადგურებლად ან პირიქით, — მეორეს პირველის გასანადგურებლად, მესამეს მეორის გასანადგურებლად, პირველს მესამის გასანადგურებლად და ა. შ.

საქართველოს მხოლოდ პოლიტიკური ძალების მოკრება გადაარჩენს. ეს ნიშნავს დაფანტული პოლიტიკური გონის მოკრებასაც.

ამისათვის **აუცილებელია** ქართველმა ერმა ისურვოს საქართველოს პოლიტიკურ ძალთა მოკრება, **დაიუფლოს** სურვილი პოლიტიკური აზროვნების გამთლიანებისა.

ჩვენზე კი დღეს უფლობს სურვილი გახლეჩვისა, უფლობს სურვილი ჩვენი რჩეულის ერთადერთობისა. ასეთ დროს სხვა არავინ არ გვინდა.

კვლავ წამოიმართა გამოჩენილ ადამიანთა შეუთავსებლობის ტრადიციული პრობლემა. ვერადა ვერ შეგვითავსებია ერთმანეთთან ორი, სამი, ოთხი, მით უმეტეს ბევრი გამოჩენილი პიროვნება. გამოჩენილი ადამიანები რომ ვერ მორიგებულან ერთმანეთთან, ეს ცალკე ტკივილია, საკუთრივ ხალხის შინაგანი მდგომარეობაა დამაფიქრებელი. რატომ მივისწრაფვით ასე მძაფრად, რომ ერთი იყოს მხოლოდ ასპარეზზე? კი მაგრამ მეორე, მესამე, და თუნდაც მეასე რატომ ვერ უნდა დავიტიოთ ჩვენს წარმოდგენებში? რატომ ამცირებს ვითომ სხვათა აღიარებაც იმ ერთს? ხომ ვღარიბდებით ერთზე დასულნი და ხომ ვართ მდიდრები, როცა ბევრი გვყავს?

საქართველოს პოლიტიკური აზროვნების გამომხატველი ძალები დღეს არიან საქართველოშიც, მოსკოვშიც, სანქტ-პეტერბურგშიც, პარიზშიც, მადრიდშიც და რომშიც...

აუცილებლად მიმაჩნია ჩემის მხრივ, რომ ვთქვა სიტყვა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენზე. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საქართველო დღეს ძალიან ბევრს ფიქრობს ამ ადამიანზე. აქამდეც არაერთგზის გამოუთქვამთ საყურადღებო, ხშირად ერთმანეთს დაპირისპირებული მოსაზრებები, მაგრამ დღეს მისი პიროვნებით დაინტერესება კიდევ უფრო საგრძნობი შეიქმნა. ცხადია, ყოველივე ეს განაპირობა საქართველოს უკიდურესმა შეჭირვებამ. ჯობდა, ცხადია, მანამ გვეფიქრა შევარდნაძის ფენომენთან ჩვენს დამოკიდებულებაზე, სანამ ასეთ დღეში ჩავცვივდებოდით.

ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრა ტრადიციულმა კონსერვატიზმმა. ქართველებმა უნდა შევნიშნოთ ჩვენს თავს, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველ პოლიტიკოსებს არ ვენდობით. ეს ჩვენი ტრადიციული პოზიციაა. პოლიტიკა კი სწორედ სამშობლოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობას გულისხმობს ერთ-ერთ უმთავრეს პირობად. პოლიტიკა უაღრესად გლობალური მოვლენაა და მარტოოდენ საკუთარი სამშობლოს საზღვრებში ვერ ჩაიკეტება ჩვენს დროში. ურთიერთობა მისი საგანია! მისთვის არც მარტოოდენ სამშობლოს გარეთ გასვლა და იქ მოღვაწეობაა აუცილებელი, არც მარტოოდენ სამშობლოში ყოფნა. მისთვის მთავარია უმაღლეს პოლიტიკურ ენაზე საუბრის უნარი ჰქონდეს ადამიანს.

ათიც რომ ჰყავდეს საქართველოს ბატონ ედუარდ შევარდნაძის მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ მეთერთმეტე ედუარდ შევარდნაძეზე მან უარი მაინც არ უნდა თქვას, რადგან ის მეთერთმეტე ისევე აუცილებელი იქნება ქვეყნისათვის, როგორც დანარჩენი ათი.

ვფიქრობ, ზედმეტია დღეს სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რა მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწედ არის აღიარებული იგი ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, რუსეთის და საერთოდ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ელიტის მიერ.

სულ ტყუილად ვაპირისპირებთ ჩვენს წარმოდგენებში ერთმანეთთან ჩვენს სიმპათიას და ედუარდ შევარდნაძის სახელს. ეს დაპირისპირება მომდინარეობს ტრადიციული კონსერვატიული ჩვეულებისაგან — ვიწამოთ მხოლოდ ერთი და უარი ვთქვათ ყველა დანარჩენზე.

მაგალითად, საქართველოს წინაშე ნებსით თუ უნებლიე დამნაშავეა ყველა, ვინც ერთმანეთთან დააპირისპირა ჯერ თავის წარმოდგენაში, ხოლო შემდეგ სინამდვილეში ედუარდ შევარდნაძე და ზვიად გამსახურდია. არ არის სწორი, ვინც ყველაფერს ზვიად გამსახურდიას ე. წ. კონფლიქტურ ხასიათს აბრალებს. პრეზიდენტის გარემოცვიდან, აშკარაა, ბევრს აძლევდა ხელს, გაზრდილიყო ბზარი და გადაქცეულიყო იგი უფსკრულად პრეზიდენტსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის. ამას მიაღწიეს. ედუარდ შევარდნაძეს ერთი რეპლიკითაც კი არ შეუწყვია ხელი ამ საბედისწერო გათიშვისათვის. პირიქით, ესწრაფვოდა კონსტრუქციულ დიალოგს მთელი ამ ხნის განმავლობაში. პრეზიდენტის გარემოცვიდან ასევე ბევრს აძლევდა ხელს, რომ გაზრდილიყო ბზარი და გადაქცეულიყო იგი უფსკრულად პრეზიდენტსა და საქართველოს ინტელიგენციას შორის! ამასაც მიაღწიეს. გარემოცვიდან ბევრს აძლევდა ხელს, გაზრდილიყო ბზარი და გადაქცეულიყო იგი უფსკრულად პრეზიდენტსა და აქტიურ პოლიტიკურ პარტიებს შორის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნებოდნენ გალაღებული. სხვა შემთხვევაში მათ ვინ დანიშნავდა ასეთ გამორჩეულ თანამდებობებზე, როცა ქვეყნად არსებობს ხალხი და მერე რა ხალხი! სხვა შემთხვევაში მათ ვინ დააპყრობინებდა ტრიბუნას, ტელევიზორის ეკრანს, გაზეთის ფურცლებს, რომლებსაც სხვა არავინ გააკარეს.

რა თქმა უნდა, პრეზიდენტს არ უნდა დაეშვა ეს.

ახლაც შეეცდებიან, რომ გაზარდონ ბზარი დროებით ხელისუფლებასა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც არ მოხვდნენ ხელისუფლების გარემოცვაში. ეს ტრადიციული სენია და ხელისუფლების სათავეში მისულთ არ უნდა გამორჩეთ იგი ხედველობიდან, მეტნაკლები აქტიურობით გარემოცვა მუდამ ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს მათ გარდა საქართველოში ჭკვიანი კაცი არავინ იყოს. ესა ვართ, რაცა ვართო.

მე პირადად დღეს უნდა შევუერთდე იმათ რიგებს, ვინც უთხრა საქართველოს, რომ ქვეყანას ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახით ჰყავს თანამედროვეობის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ვისმა მასშტაბურმა საქმეებმა საქართველოში და საქართველოს საზღვრებს გარეთ, დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

საქართველოს გათავისუფლება მარტოოდენ საქართველოდან არ შეიძლება. საბჭოთა კავშირი ისეთი იმპერია იყო, რომელსაც საქართველოდან ვერ დაანგრევდი. ჩვენ არ ვცხოვრობთ ძველ დროში, როდესაც შეგვეძლო შინაგანი თანხმობის მიღწევის ჟამს გამოგვეყვანა „განუყოფელი" საქართველოს ლაშქარი მტერთან საბრძოლველად და დაგვემარცხებინა იგი.

საბჭოთა კავშირის, როგორც „ბოროტების იმპერიის" (რეიგანი) დანგრევაში მონაწილეობა უნდა მიეღო მთელ პროგრესულ კაცობრიობას, მასთან ერთად თავად რუსეთის პროგრესულ ძალებს, ამასთან „კავშირის" შემადგენელი ქვეყნების პოლიტიკურ ძალებს. ციხე ბოროტების იმპერიისა უნდა დანგრეულიყო სინქრონულად — შიგნიდან და გარედან.

ვინ აირჩია ამ „საუკუნის მოვლენის" განხორციელების გზაზე ისტორიულმა კანონზომიერების კარნახით მობილიზებულმა საერთაშორისო პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად? რატომ არ გაუწია მან ანგარიში იმ გარემოებას, იცოდა თუ არა უცხო ენები ზედმიწევნით კარგად მათმა რჩეულმა? რა თვისებები იყო საქმისთვის მთავარზე მთავარი, რამაც უკან დაახევინა ესოდენ მნიშვნელოვან პირობას? რა თვისებებმა გადაწონა ის არგუმენტიც, რომ უშუალოდ დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში მას არ უმოღვაწნია? შენიშნეს ეს თვისებები! ნაკლებგამჟღავნებული, ღრმად დაფლული, მაგრამ დიპლომატისა და პოლიტიკური მოღვაწის უნიკალური თვისებები.

დავაკვირდეთ: საუკუნის მოვლენის მოხდენის მიზნით მრავალ პიროვნებას შორის არჩევანი შეჩერდა ჩვენს თანამემამულეზე. იმიტომ კი არა, რომ რუსეთში არ იყო პოლიტიკური ძალები, არ იყვნენ პიროვნებები. არამედ იმიტომ, რომ დიდი უპირატესობა ჰქონდა ჩვენს თანამემამულეს.

მაინც რა მოვლენა მოახდინეს მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა საბჭოთა კავშირის პროგრესულ ძალებთან ერთად? გაათავისუფლეს აღმოსავლეთი ევროპა, შეაერთეს დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანია, ჯარები გამოიყვანეს ავღანეთიდან, დაიწყეს ორმხრივი განიარაღების პროცესი, მოარყიეს საბჭოთა კავშირის სტრუქტურა მთლიანად და დღესდღეობით სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობამდე დაიყვანეს იგი. ვფიქრობ, კომენტარები ზედმეტია. გრანდიოზული რეფორმებია მოხდენილი და მოვლენის შემოქმედთა შორის ერთ-ერთი უპირველესი და ცენტრალური ფიგურაა ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

ახლა მინდა დავსვა უმთავრესი კითხვა: აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებამ, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანამ, ორი გერმანიის შეერთებამ და, რაც მთავარზე მთავარია, საბჭოთა კავშირის სტრუქტურის დაშლამ შექმნა თუ არა უაღრესად ხელსაყრელი ატმოსფერო და იმ ატმოსფერომ მისცა თუ არა საშუალება სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოსაც გაეცხადებინა თავისი პრეტენზია და გაეშალა ფართო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა? ისედაც იდგა 1985 წლამდე საბჭოთა კავშირში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისთვის ამინდი? იყო შესაძლებელი ამ დრომდე გაგვემართა „სანქციიანი" და „უსანქციო" მიტინგები ქვეყნის ნებისმიერი ქალაქის ნებისმიერ მოედანზე? თუ მანამდეც იდგა ასეთი ამინდი, რატომ არ გამოვიყენეთ იგი? ეს დრომ მოიტანაო, იტყვის ახირებული ოპონენტი. დროს თავისთავად არაფერი არ მოაქვს. ჟამს ღმერთი ქმნის და კონკრეტული ადამიანების ხელით კეთდება დიდი საქმეები...

სხვა რამ გამორიცხულია.

რეიგანი, ტეტჩერი, ბუში, გორბაჩოვი, შევარდნაძე, ელცინი... ამ დიდი საქმის შემოქმედნი არიან. ასე იცის ყოველივე ეს მსოფლიომ და კარგი იქნება, თუკი ჩვენ, ქართველები, დიახაც დიდი კულტურისა და ისტორიის პატრონი ერი, მაგრამ პლანეტისთვის მაინც უმნიშვნელო ნაწილი, მთელი პლანეტის მაღალ აზრს ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე არ დავუპირისპირდებით, უბრალოდ, თუ სასაცილო მდგომარეობაში არა, უხერხულ მდგომარეობაში მაინც არ აღმოვჩნდებით.

ეტყობა გასარკვევია, სხვა რამ. გასარკვევია ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილის პრეტენზიების საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლობა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ.

ჯერ კვლავაც მოვლენების ეპიცენტრში მდგომი პოლიტიკოსის მიერ გამოვლილი გზის სრული ანალიზის ცდა მიუტევებელი შეცდომა იქნება პოლიტიკის წინაშე. მე მხოლოდ არსებით და უმთავრეს დეტალებზე ვამახვილებ მკითხველის ყურადღებას, რათა ჩვენი დამოკიდებულება ამ უაღრესად საინტერესო პიროვნების მიმართ მათი მეშვეობით განისაზღვროს.

უნდა შექმნილიყო თუ არა პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე? ანუ უნდა მისულიყო თუ არა იგი მოვლენების სათავეში — გამხდარიყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი?

თქმა იმისა, რომ ნებისმიერი სხვა პიროვნება შეძლებდა იმასვე, რაც მოახდინა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მყოფმა ედუარდ შევარდნაძემ, რბილად თუ ვიტყვი, მიამიტობაა, ხოლო თუ პირდაპირ ვიტყვი, პოლიტიკის უცოდინარობაა. ვთქვი ზემოთ და ვიმეორებ, რომ მხოლოდ უნიკალური პოლიტიკური და დიპლომატიური თვისებების ადამიანს შეეძლო გაეტარებინა ასეთი ბრძნული, სწორი, ერთადერთი და პროგრესული პოლიტიკა იმპერიის რღვევისა. დაემყარებინა „უმაღლეს დონეზე" სასურველი კონტაქტი რუსეთისა და მსოფლიოს პროგრესულ ძალებს შორის და საერთო ძალისხმევით დაეწყო „ბოროტების იმპერიის" დაშლა.

ახლა დავბრუნდეთ უკან, წაიყვანდნენ თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრად პიროვნებას, რომელიც გადაეფარებოდა კომბინატორებს საქართველოში, როდესაც კანონი დევნიდა და იჭერდა მათ, რომელიც ლმობიერად მოეპყრობოდა თვითმფრინავის გამტაცებლებს, ვინც არ აღნიშნავდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს და არ დაარწმუნებდა თავის ერთგულებაში ბრეჟნევს, ანდროპოვს, ჩერნენკოსა და გორბაჩოვს კი არა, იმპერიის ძალებს, რომლის გადიდებული თვალი და ყური მიდარაჯებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „უნარიანი და ენერგიული" ხელმძღვანელის მიმართ?

70-იან წლებში საქართველოს პოლიტიკის საჭე საბჭოთა კავშირის სტრუქტურების ფესვებში იყო გახვეული და მასთან ერთად უნდა ემართა იგი პოლიტიკოსს.

მთელი მისი ცხოვრება კი იყო და არის მიზანსწრაფული. იგი სტრუქტურების ალყაში სინჯავდა პოლიტიკის დინამიკას, „საბჭოეთში" პოლიტიკის ანატომია უდრეკი მეტალისგან იყო გაჭედილი და მცირედი გადახრაც კი უზღვავი ენერგიის გაღებითღა თუ იყო შესაძლებელი. ამიტომ გადაინაცვლა მისმა ყურადღებამ კულტურის სფეროსკენ. აქ მეტი საშუალება ეძლეოდა ეროვნული ინტერესების მსახურებისათვის. წნეხის ქვეშ კულტურა სულს ღაფავს. 70-იანი წლების ქართული ლიტერატურა, კინო, თეატრი, ფერწერა, ფოლკლორი, მუსიკა, ქანდაკება კი იშვიათ აღმავლობას განიცდის. იშვიათ აღმავლობას განიცდის სპორტი.

როდესაც იდეოლოგია თავდაყირა დგას, თავდაყირა დგება ცხოვრებაც, ჩვენი ცხოვრება თავდაყირა იდგა. ახლა ამის განმარტება არავის სჭირდება, მაგრამ განმარტება სჭირდება იმ ფაქტორს, რომ პოლიტიკურ მოღვაწეს თავდაყირა მდგარ ცხოვრებაში არ უნდა მოსთხოვო შეცდომების დაუშვებლობა. სხვის ხელში მყოფმა ან უნდა შეწყვიტო არსებობა შენს ხალხთან ერთად, ან უნდა შეიძლო პოლიტიკური ლავირება.

ვის გაეხარდებოდა ან ბატონ ედუარდ შევარდნაძეს რატომ ესიამოვნებოდა, თუ კი კანონი და სამართალი გასაქანს არ აძლევდა საქმის ხალხს? კანონი და სამართალი აცხადებდა მათ კომბინატორებად, კაპიტალიზმის რესტავრატორებად და იჭერდა! ვის შეიძლება გაუხარდეს ქართველი ახალგაზრდების დასჯა, მით უმეტეს მკაცრად, მაგრამ როდესაც ისინი თვითმფრინავს გაიტაცებენ და ფაქტის წინაშე დააყენებენ მთელ ქვეყანას, როგორ გინდა დაიცვა? და თუ დაიცავ, კარგი კაციც იქნები, მაგრამ აქვს კი უფლება შევარდნაძის ბადალ პიროვნებას, ვისაც წინ ავღანეთის გათავისუფლება, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება, ორი გერმანიის შეერთება, საბჭოთა კავშირის თანდათანობით დაშლის პროცესი ელოდება, რაღაც არ შეეწიროს? ტკივილი, რომელიც კანონის მიერ დასჯილთა ოჯახებს მიადგა, პატარა როდია, განა არადჩასაგდებია, მაგრამ რაზე ეთქვა უარი, მასშტაბურ მსოფლიო მოვლენაზე — საბჭოთა კავშირის დაშლაზე, რასაც მისი სამშობლოს განთავისუფლებაც მოჰყვებოდა ხვალ, თუ კაი კაცობის ტიტულზე, რომელიც მას გარანტირებული ექნებოდა პირველ შემთხვევაში?

ახლა ის ზადია, შეცდომაა, ცოდვაა, რომელსაც წამოსძახებენ ოპონენტები წარამარა საქართველოდან, შეახსენებენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმს, „საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო", სიტყვაზე იჭერენ, ბრეჟნევის კოცნას მოაგონებენ, ფარისევლობას უკიჟინებენ...

ახლა ბატონ ედუარდს აღარ სჭირდება „ფარისევლობა", „ბრეჟნევის კოცნა", „ჩრდილოეთიდან მზის ამოყვანა", „გეორგიევსკის ტრაქტატის" ზეიმი... რადგან ერთი უპირველესია იმ დიდ პიროვნებათაგან, რომელთა წყალობით დადგა ეს ამინდი, ამინდი, როდესაც აღარ გვჭირდება ფარისევლობა, ბრეჟნევის კოცნა, გეორგიევსკის ტრაქტატი და ის სიტყვა, რაზეც დიდი პოლიტიკოსი დავიჭირეთ. აღარ გვჭირდება, ახლა მაგრები ვართ, საბჭოთა კავშირის დროშა ჩამოვხსენით, ჩვენი აღვმართეთ, ლენინის ძეგლი ჩამოვაგდეთ, მერაბ კოსტავას ქუჩები გვაქვს!..

მაგრამ სად მივუდივართ სამართალს, რატომ გვინდა წავუყრუოთ იმ აზრს, რომ „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოოს!!!" იმ პროცესმა დაგვაძახებინა, რომელსაც რამდენიმე მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსის ხელთან ერთად ჩვენი თანამემამულის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელიც მართავდა?

ცხადია, ჩვენ უბედნიერესი ხალხი ვიყავით მაშინ, როდესაც მტერი ჯიქურ მოდიოდა და ჩვენც ვაჟკაცურად შევებებოდით, როცა ვიცოდით, იქით იდგნენ სარკინოზები, აქეთ ვიდექით ჩვენ. ყველაფერი გარკვეული გახლდათ. დაპყრობილებს სულ სხვა პოლიტიკის მომარჯვება დაგვჭირდა. მონღოლების დროს, სპარსელების დროს, თურქების დროს, რუსების დროს, მით უმეტეს საბჭოთა კავშირის სატანისებური პოლიტიკის მარწუხებში მოქცეულთ! ჩვენს დისიდენტებს იგი გასაქანს არ აძლევდა. როცა მოეპრიანებოდა, მაშინ აპატიმრებდა! ეგ კი არა, რუსეთის პროგრესულ ძალებს არ აძლევენ გასაქანს იმპერიული ძალები, გადატრიალება გადატრიალებაზე მზადდება. ამ სატანისებური ბოროტების იმპერიის ტოტალურ პოლიტიკას დაუპირისპირდა პროგრესული მსოფლიოს პოლიტიკური გონი, შედგა დიდი საერთაშორისო ალიანსი და დაეყრდნო ეს ალიანსი უდიდეს პოლიტიკურ ფიგურებს, საბჭოთა კავშირიდან გორბაჩოვს, შევარდნაძეს და ელცინს... მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნულ სულისკვეთებას შეეხსნა სუნთქვის შემხუთველი საკინძე...

ერთად ვთავისუფლდებით ჩვენ და მსოფლიო. ჩვენ — ეროვნული მონობისაგან, მსოფლიო — ტოტალური კატასტროფის შიშისაგან.

სატანა ჯერ საბოლოოდ არ დამარცხებულა.

დღეს გამოსავლის ძებნა გვჭირდება.

საქართველოს პოლიტიკური გონის მოკრება თუ ვერ მოვახერხეთ, ყველაფერი განწირულია.

ზოგჯერ გაიგონებთ: უჭკუობაა, ასეთი დიდი ავტორიტეტის მქონე კაცი რომ არ გამოიყენოო. თუნდაც! მაგრამ ეს განცხადება მე მაინც უსამართლო და დაუკვირვებელი განცხადება მგონია. პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე არ ელოდება, როდის გამოიყენებს მას თავისი ხალხი. ან სთხოვს თუ არა საქართველო დახმარებას. იგი დიდი ხანია ეხმარება თავის ხალხს. რაღა პოლიტიკოსი იქნება, თუ ყველაფერი ცხადად გაგვიმარტა, როდის ეხმარება და რით ეხმარება, ეს არც მომავალში ითქმება ერთბაშად. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ და „ვერ შევნიშნოთ" ის გრანდიოზული შეწევნა, რაც მიიღო მისმა სამშობლომ „საქართველოს საზღვრებს გარეთ" დიდი პოლიტიკოსის მოღვაწეობით?

დღეს არ არის აუცილებელი ლაპარაკი მისი პოლიტიკის სიღრმისეულ და ზედაპირულ ნიშნებზე, არც ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე, ან დუმილის მეთოდებსა და სტრიქონებს შუა დაფლულ ზრახვებზე. მაგრამ მთავარი, რაც მომხდარია და რასაც პოლიტიკოსები უკვე არავის უმალავენ, ხომ უნდა დავინახოთ. თუ ჩვენ ერთმანეთთან ვერ დავაკავშირებთ აღმოსავლეთ ევროპისა და ავღანეთის გათავისუფლების, საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს პოლიტიკის სტრატეგიულ მაგისტრალებს, არც ვყოფილვართ თავისუფლების ღირსი!

ახლა კი, კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში, თუკი ვერ გადავლახავთ ტრადიციულ ჩვევას და თუკი საქართველოს გათავისუფლების მისწრაფებაზე მაღლა დადგება განაწყენებული მხარეების ანგარიშსწორების ვნება, ჩვენი საქმე განწირულია.

სულ ტყუილად ჰგონია რომელიმე მხარეს, მე მოპირდაპირეს თავისი გარემოცვიანად გავსრეს და მერე მოვუვლი ქვეყანასო. ამ მისწრაფებამ რაც დაგვმართა, კარგად დავინახეთ. ექვსი საუკუნის განმავლობაში არ მოხერხდა საქართველოში ერთ მხარეს ისე დაეჯაბნა მეორე მხარე, ამ უკანასკნელს წინააღმდეგობა შეეწყვიტა და პირველი გაბადრულიყო ერის ცხოვრებაში. ერთმანეთზე „გადავლით" მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე მოვაღწიეთ, ხუთ მილიონიანი ერი ექვსასი ათასამდე დავედით და „ჩავბარდით პატრონს".

ექვსი საუკუნის პრაქტიკამ გაიღვიძა. გააღვიძა იგი იმპერიამ საგანგებოდ. არც დაუმალავს თავისი პოლიტიკა, მიეცით მაგათ იარაღი და ერთმანეთს ამოულეტენო, გაიძახოდნენ ხმამაღლა.

სად არის გამოსავალი?

ერთი სიტყვა შეიძულეს ამ ბოლო წლებში. ეს სიტყვა გახლავთ კონსოლიდაცია. მეც უბადალებული სიტყვა მგონია იგი, მით უმეტეს ჩვენი ურთიერთობის შემყურეს. სად თქმულა ჩვენი კონსოლიდაცია, ჩვენი გაერთიანება და ერთად ყოფნა. მაგრამ გამოსავლის ძებნაა საჭირო. სრულებითაც არ აინტერესებს ქართველ ერს, პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთმანეთი უყვართ თუ არა. არც მსოფლიოს აინტერესებს იგი. არა მგონია ბუშსა და გორბაჩოვს, ტეტჩერს და გორბაჩოვს ერთმანეთზე ამოსდიოდეთ მზე და მთვარე. მაგრამ მსოფლიოს გადარჩენის იდეა ითხოვდა გაეღიმათ ერთმანეთისათვის, მოლაპარაკების მაგიდას შემოსხდომოდნენ და ეშველათ საქმისათვის.

ამასვე ითხოვს საქართველოს შეჭირვებული მდგომარეობა. სრულებითაც არ აინტერესებს ქართველ ერს, პოლიტიკოსებს ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდით თუ არა. იგი მოითხოვს, მოსალაპარაკებლად მიუსხდნენ მაგიდას. ეს ვერ შევძელით!

ის კი არ არის სარკვევი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე აქ ჩამოვა და წაგვიძღვება თუ არა, ან ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მასზე უარს იტყვის თუ არა, გასარკვევია საქართველოს ბედი, და მოსაძებნია გზა მისი წაღმა შესატრიალებლად.

მოსაკრებია პოლიტიკური გონი და იმპერიის უნივერსალურ ძალებთან ბრძოლაში საქართველოს პოლიტიკური აზროვნების სრულფასოვან გამოხატულებად გვევლინება ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ვაღიარებთ თუ არა ჩვენ მის მონაწილეობას იმპერიის წინააღმდეგ ფარულ პოლიტიკურ ბრძოლაში, ის ისედაც მონაწილეობს და მსოფლიომ იცის ამის შესახებ. მაგრამ ჩვენთვის განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, თვითონ ქართველი ერი ხედავს და განიცდის თუ არა მის განუსაზღვრელ წილს იმპერიასთან გამართულ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. რამეთუ ყოველივე ამის განცდა და დანახვა მიგვიყვანს მის სამართლიან აღიარებამდე და საქართველოს პოლიტიკური ძალების ერთი მიმართულებით დაჯგუფებამდე. ჩვენ ერთი მიმართულებით დაჯგუფებული საქართველოს პოლიტიკური ძალები გვჭირდება და გვაინტერესებს დღეს. შეუძლებელია გონიერი ერის მისწრაფებას არ წარმართავდეს ეს მოთხოვნილება, მით უმეტეს, რომ ქვეყანაზე არსებობს ედუარდ შევარდნაძის ტიპის პოლიტიკოსი. სხვებს არ ჰყავთ ბადალი და სხვის კარზე ეძებენ მოკავშირეს, ჩვენ გვყავს იგი...

საქართველოს პოლიტიკური სივრცე ჩვენვე დავავიწროვეთ. ჩვენს დაკნინებაზე მეტყველებს იგი. ნუ გვგონია, რომ ამ სივრცეში ორი ვერ ჩაეტევა. ეს გახლავთ მცდარი აზრი. საქართველოს პოლიტიკური სივრცის გაფართოება ჩვენზეა დამოკიდებული, მის სივრცეში ორიც დაეტევა და ასიც, ხვალ რომ შესანიშნავი წყება დაიძვრება ქართველი პოლიტიკოსებისა ახალგაზრდობის წიაღიდან, ისიც დაეტევა...

გამოსავალი არის ერთადერთი. საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შიგნიდან გარეთ მოიმართოს, უხმოს ასპარეზზე ყველა პოლიტიკურ ძალას, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფენომენს, და პოლიტიკური გონის სრული მოკრების გზით აღადგინოს დარღვეული წონასწორობა.



ედუარდ შევარდნაძე (1989 წ.).

სანდრო მამასახლისის ფოტო.

> ვწერ ამ სტატიას საქართველოს უკიდურესი შეჭირვების ჟამს, როდესაც მეტად დიდი და მეტად ცუდი ამბები უკვე მომხდარი.
>
> დარღვეულია ერის მთლიანობა.
>
> დაღვრილია ქართველი კაცის სისხლი ქართველი კაცის მიერვე, დანგრეულია რუსთაველის პროსპექტი, ასობით ოჯახი ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი, მეგობრები, ნათესავები და თვით ოჯახის წევრები ერთმანეთს არიან წაკიდებული, კაცი კაცს აღარ ენდობა; მოშლილია ეკონომიკა, დგანან საწარმოები, ქვეყანა შიმშილის ზღვარზეა მისული... უზნეობამ ფრთა გაშალა, ძარცვა, ძალადობა, მკვლელობა და სისხლისღვრა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.
>
> საქართველოს პოლიტიკური ძალები დაფანტულია!
>
> ასეა დროებითი მთავრობის ცდისა და მეცადინეობის მიუხედავად.
>
> ეს გახლავთ მძიმე ისტორიული ჟამი, რომლის დროსაც მარტოოდენ ხელისუფლების ცდა საქმეს ვერ შველის.

ედუარდ შევარდნაძემ მაიამიში გამოაცხადა, რომ შეიქმნა საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდი

როგორც „სვობოდნაია გრუზია" იუწყება („იფრინდას" დამოწმებით), 28 თებერვლიდან 1 მარტამდე ედუარდ შევარდნაძე ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში იყო. როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრთან დაახლოებული წრეებიდან იუწყებიან, იგი ამ შტატში ამერიკის საქმიანი წრეების მიწვევით ჩასულა.

შტატის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრისას ედუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ შექმნილია საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდი და მოუწოდა აქტიურად ითანამშრომლონ მასთან. ედუარდ შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე იმ ადგილის დათვალიერებასა და შერჩევაში, სადაც მაიამიში მონუმენტი უნდა აღიმართოს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავის აღსანიშნავად.

ედუარდ შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო მაიამის რუსული ხელოვნებისა და კულტურის ასოციაციის ღონისძიებებში, რომლებიც გამოჩენილი ამერიკელი ქორეოგრაფის, შთამომავლობით ქართველის, ჯორჯ ბალანჩინის გარდაცვალების ათი წლისთავს მიეძღვნა. ხელი მოაწერეს აგრეთვე ოქმს იმის თაობაზე, რომ „ბროკ გრუპ ლიმიტედის" კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებაში. ნავარაუდევია ასეთი პროექტების შესრულება: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურების რეკონსტრუქცია, ბათუმის აეროპორტის სიმძლავრის გაფართოება და ახალი ნავთობის ტერმინალების შექმნა, საქართველოს რამდენიმე ქიმიური საწარმოს რეკონსტრუქცია. განიხილეს საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის პერსპექტივა. ამერიკული კომპანიის კაპიტალი ჩაერთვება აგრეთვე საქართველოს საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ამ ძნელბედობის ჟამს...

ჩვენი სამშობლო უმძიმეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ კრიზისშია. მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივაც ძალზე ბუნდოვანია. შეიძლება მოხდეს პირიქითაც, ვითარება გაუარესდეს, რაც სრული კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ამ ძნელბედობის ჟამს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლა საქართველოში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მისი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში მისი მდიდარი გამოცდილება აუცილებლივ უნდა იქნას გამოყენებული საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ მივესალმებით ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლას საქართველოში და ვფიქრობთ, რომ ის აქტიურად უნდა ჩაება საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მართვის უმაღლეს დონეზე.

ზურაბ აბაშიძე, ვალერიან ადვაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, იგორ ბოგომოლოვი, მანანა ბიბინეიშვილი, ვახტანგ ბურგენიძე, ლაშა თაბუკაშვილი, ვალერი კვარაცხელია, რომან მიმინოშვილი, ეთერ ქემერტელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ნიკო ხატიაშვილი, მიხეილ ხანანაშვილი.

რა აზრთა სხვადასხვაობაც უნდა იყოს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე, უმრავლესობა მაინც ერთ დასკვნამდე მიდის: ჩვენს დღევანდელ უმწეო მდგომარეობას დიდად შეეხიდება ამ უნიჭიერესი პოლიტიკური მოღვაწის სახელი და ავტორიტეტი. ამ აზრისაა ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი რეჟისორიც, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, კერძოდ, აი, რა უთხრა მან „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს:

უდიდეს სამსახურს გაგვიწევს

— დღევანდელ რთულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა და რომელსაც შეიძლება ანალოგიც კი არ მოეძებნოს, აუცილებელია ერის ინტელექტუალური რესურსების გაერთიანება, რათა გამოიძებნოს ჩვენი ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოყვანის გზები. ქართველი ხალხის საარსებო ინტერესები მოითხოვს, შეწყდეს ყოველგვარი კონფრონტაცია, რომელმაც საქართველო უფსკრულის პირამდე მიიყვანა. დადგა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების გადამწყვეტი მომენტი, როდესაც თუნდაც ერთი მცდარად გადადგმული ნაბიჯი გამოუსწორებელ შედეგებს მოგვიტანს. ამიტომ მისასალმებელია რესპუბლიკის დროებითი მთავრობისა და სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ ურთულეს ჟამს მოიწვიონ ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რათა იგი თავისი დიდი გამოცდილებით, უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ტალანტით, მხარში ამოუდგეს მშობელ ხალხს.

მე, ცხადია, ვეთანხმები საქართველოს დემოკრატიული კავშირის განცხადებაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ შეიქმნას სამოქალაქო ხსნის კომიტეტი და შეიყვანონ ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

მწამს, რომ მისი მსოფლიო მასშტაბის რეპუტაცია უდიდეს სამსახურს გაუწევს საქართველოს.



დიდმარხვა

დებო და ძმებო! შვილნო დიდებული საქართველოისა, ქრისტიანენო!

ღვთის მადლითა და წყალობით ისევ მოგვიახლოვდა დიდი მარხვა. წლეულს იგი 9 მარტიდან იწყება და 26 აპრილს გასრულდება.

გახლავთ ჟამი, როდესაც ადამიანი განსაკუთრებული ძალისხმევით იწყებს ფიქრს თავისი ვინაობისა და რაობის შესახებ. ვინ ვართ ჩვენ? რა გვსურს, ან რატომ მოვედით ამ ქვეყნად? აი კითხვათა რიგი, რომელსაც პასუხი გაეცეს უნდა მარხულობის დროს. ეს გახლავთ ბრძოლა ყოფითსა და სულიერ ხატს შორის. ესაა სურვილი ადამიანისა, რათა უარყო უნიჭობანი ამ ქვეყნისა და აღიარო მაღალი. ესაა ადამიანის უდიდესი დანიშნულება. აღიარება ნიშნავს დაივიწყო უმწეობა და უსუსურობა შენი და აღდგე ადამიანური უძლურებისაგან, ქრისტეს სიკვდილისაგან.

ჩვენმა ისტორიულმა ბედუკუღმართობამ და მეშჩანურმა ყოფამ დაამკვიდრა და აალორძინა ჩვენს საზოგადოებაში მეყოფითე კაცის ფსიქიკა. დაიმცრო და დაკნინდა ინტერესთა სფერო. უსახონი და მიუსაფარნი ჩვენი ცოდვებისა და სიმდაბლის ტალახში ვიზილებით და ამ ბორგვნა ვაებაში ნებით თუ უნებლიედ თავსაც ვატყუებთ და სხვასაც. ამ სულიერი კონვულსიების ჟამს თითქოს გადაგვავიწყდა ჩვენი მაღალი დანიშნულება და ზენა არსისგან ბოძებული ნიჭი, ის, რომ „სახედ და ხატად თვისსა" შეგვქმნა ჩვენ ღმერთმა, რომ „ჩვენ ვართ მარილნი ამ ქვეყნისა და თუ განქრით რაითლა დაიმარილოს ქვეყანამა". „თქვენ ხართ ნათელი ამა ქვეყნისა და თუ განქრით რაით გაინათოს მომავალმა"— ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ ხართ აზრი დღის გათენებისა. თქვენ ხართ ძალი შემოქმედებისა და გვირგვინი სიცოცხლისა და ღვთით ბოძებულ მადლთან ყოველი ცოდვა უსუსურია. რადგან არ არსებობს ცოდვა უპირატესი ღვთის მადლისა. ადამიანს არ შეუძლია დაუშვას ისეთი შეცდომა, რომელსაც ვერ უსალბუნებს სიხარული მოღვაწეობისა, განცდა მაღალი დანიშნულებისა და სიყვარული ჭეშმარიტებისა, **რასაც თან უნდა სდევდეს განცდა სინანულისა და დანაშაულისა ქვეყნისა სიმართლისა და ადამიანის მიმართ.**

მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს სინანულის, როგორც ადამიანის სულიერი მდგომარეობის მნიშვნელობა, საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ რა არის ცოდვა?!

ჩვენი ცხოვრების ეიფორიულობისა და მორალურ-ეთიკური ნორმების მოშლის გამო გულნატკენი კაცი კარგავს თავის უზენაეს დანიშნულებას. განაწყენების ან სასოწარკვეთის გამო უარს ამბობს ღმერთზე და ამით უარს ამბობს თავის თავზე. ამიტომ ხშირად ნებით თუ უნებლიეთ ჩადის ისეთ საქციელს, რისი გაკეთება არ სურს, ან არ ეკადრება. ასეთი რამ იმიტომ ხდება, რომ სწრაფწარმავალ სიცოცხლეს გამოვტაცოთ წამი სიხარულისა.

ხშირად ამგვარი ნაჩქარევი გადაწყვეტილება სევდისა და ცრემლის საბაბი ხდება, რადგან მის საქციელს არ ახლავს განცდა პიროვნული ღირებულებისა და იგი არღვევს პიროვნების მთლიანობას. ყოველი ადამიანი გრძნობს რაოდენ ბილწია ბიოლოგიური არსი ადამიანისა, რადგან იგი სავსეა სიცრუით, ღალატით და ღვარძლით. ისიც კარგადაა ცნობილი, რა მშვენიერია ადამიანი — გვირგვინი და დიდება ცის ქვეშეთისა, მაშინ, როდესაც მასში ღამეს გაათევს ღმერთი. ჩვენი მაღალი დანიშნულების განცდა არის ერთადერთი გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ მიმავალი. მხოლოდ ღმერთია ის ნათელი, რომელიც გაზევს და გაგვინათებს სკვარამს უბადრუკობისა. განცდა უმაღლესი ადამიანური დანიშნულებისა არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია გვაზიაროს ჭეშმარიტ ბედნიერებას. რამეთუ თქმული არს: „გქონდეთ ნათელი და ნათელი იგი გაგათავისუფლებთ თქვენ".

სიბრძნით აღემართენით! — გვასწავლის ქართული ეკლესია. დებო და ძმებო! გულთბილნო და განსხვავოვანნო, განა მართლა ცოდვა არ არის, რომ თქვენი უზადო ნიჭიერება უსაქმურობის მატლმა დაზრას და დაჩრჩილოს?! მარგალიტნი თქვენი სულისა ღალატის, ტყუილისა და სიმდაბლის ჭაობმა შთანთქას? ჩვენი ლამაზი სული საუკუნეების მანძილზე ნაჩუქურთმევ ნახარატევი ყოფიერების ჭუჭყმა დაფაროს?! ცოდვა არაა განა, რომ არსობამ ჩვენმა არ იხილოს სიბრძნე ცარგვალისა და ლაჟვარდები ჭეშმარიტი ბედნიერებისა?

ამინ! გეტყვით თქვენ, დაივიწყეთ თავი თქვენი და აღიღეთ ჯვარი ქრისტიანობისა. ესაა გზა მოქალაქეობისა და მოღვაწეობისა. გზა სიხარულისა და ბედნიერებისა. აღვიღოთ ჯვარი და მივხედოთ ქვეყანას მოუფერებელსა, მივხედოთ ხალხს შეურაცყოფილს, მივხედოთ ერთმანეთის წყლულს და სატკივარს; რადგან, არა იგია მეუფე ქვეყნისა ვინცა ტახტსა დიდებისა დაჯდება, არამედ ყოველი კაცი, რომელიც ფიქრობს.

არც ისინი არიან სწორნი, ვინც თავის რელიგიურ მოთხოვნილებებს სალვთო ლიტერატურის კითხვითა და ეკლესიის მიერ დადგენილი წესების აღსრულებით იკმაყოფილებენ, რადგან გზა უფლის სასუფევლისაკენ მიმავალი, საქართველოს ბედნიერებაზე გაივლის მხოლოდ.

ამიტომ გეტყვით თქვენ, დაივიწყეთ თავი თქვენი, რათა მპოვოთ ჭეშმარიტი ღირებულება თქვენი არსობისა. დაივიწყეთ თავი თქვენი სამშობლოსათვის, მომავლისა და ჩვენი შვილების ბედნიერებისთვის. ეს გზა ძნელია, მაგრამ ესაა ის გზა, რომელიც მოფენილია სიმართლის ყვავილებით, ბედნიერებითა და სიხარულით. ამიტომ უნდა შევძლოთ, უნდა ვცადოთ, რათა აღსრულდეს საუკუნო სურვილი ქართველობისა.

ამ მიზნის მისაღწევად ადამიანს მიცემული აქვს მთელი სიცოცხლე. ეს ძალზე ბევრია და ამავე დროს ძალზე ცოტა. რადგან ბევრია სამკალი ქვეყნად და მომკელი ცოტა. ამ ფაქტის განცდისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მარხვა, რომელიც გაცისკროვნებულია ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ნიშნით.

დიდი მარხვის დროს იკრძალება ცხოველური წარმომავლობის საკვები, საქციელთა ის რიგი, რომელიც მორწმუნეს თვითჩაღრმავების პროცესს მოსწყვეტს, ყოველივე ის, რაც ბიოლოგიურ არსს აზარებს და რაც ყოველდღიურობის უაზრობასთან გვაკავშირებს. მარხვა უპირატესად სულიერი აქტია და იგი აზროვნების კონტროლის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რათა ცხოვრებისეულ წეხზე უარის თქმით ფიზიკურად განვიცადოთ სულიერი სინდისის სიხარული და უპირატესობა. ეს უნდა გახდეს ცდა მოქალაქისა, დასდოს მიჯნა ელემენტარულ ყოფიერებასა და პიროვნების უმაღლეს დანიშნულებას შორის.

მარხვის დროს მორწმუნე ვალდებულია დაიცვას ყველა ის წესი აკრძალვისა, რომელიც გათვალისწინებულია მარხულობისათვის, ან ის რეჟიმი, რომელსაც მოძღვარი მიგვითითებს. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მარხულობის ის წესი, რომელიც თქვენ აირჩიეთ, სასჯელი არ არის და ამიტომ იგი მხოლოდ თქვენს სურვილსა და სულიერი მოთხოვნილების გამო უნდა მიმდინარეობდეს. ამ შემთხვევაში ძალადობა ფიზიკაზე არასასურველია, რადგან ძალადობა ნებისყოფას ან სულიერ გამარჯვებას არასოდეს არ ნიშნავს.

თუ მარხვა ნებსით ან უნებლიედ ირღვევა, რიგი ადამიანებისა ამ ფაქტს ტრაგიკულად განიცდიან. ამას ისიც ამძაფრებს, რომ ზოგი მოძღვარი მომხდარ ფაქტს მეტის-მეტად ართულებს, რითაც აფრთხობს და აშინებს მორწმუნეს. ამიტომ უნდა მოგახსენოთ, რომ აქ საგანგაშო არაფერია, მითუმეტეს, თუ მას თქვენი სინანული ახლავს; რადგან დაცემა და აღდგომა ჩვენი ცხოვრების ნორმაა და ერთადერთი გზა უფალთან მიახლოებისა. ხოლო თქვენი სინანული, საფუძველი შემდგომში თქვენი გამარჯვებებისა.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის მადლით სული წმიდა მოვიდეს თქვენ თანა და საქართველოს ზედა და მადლი უფლისა გვფარვიდეს ჩვენ.

ქრისტესმიერი სიყვარულით
დეკანოზი
როსტომ ლორთქიფანიძე.

გამოსათხოვარი

ოთარ ქინქლაძე



რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი **ოთარ დანიელის ძე ქინქლაძე.**

ოთარ ქინქლაძე განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა შეგნებულ ცხოვრებასა და საქმიანობას მყვიდრ საფუძვლად ედო მოქალაქეობრივი სიმამაცე, პრინციპულობა და პატიოსნება.

იგი დაიბადა 1922 წელს ბათუმში, პედაგოგთა ოჯახში. უეჭველია, იქ დამკვიდრებულმა ტრადიციებმა, ბუნებით ნიჭთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობა, ხელი შეუწყო პროგრესულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას.

საშუალო განათლება ოთარ ქინქლაძემ ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მე-8 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში მიიღო და მისი დამთავრების შემდეგ, 1940 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1943-1946 წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ოთარ ქინქლაძე სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს იყო გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორის მოადგილე, „მოლოდიოჟ გრუზიის" და „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი, ჟურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი. რამდენიმე წელი რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორად მუშაობდა. სამოციანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში კინოკომიტეტი ჩამოყალიბდა, ო. ქინქლაძე მის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1964 წლის დამდეგს იგი წინააღუდგა პარტიულ-იდეოლოგიურ დოგმატებს და პროტესტის ნიშნად გადადგა კინოკომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

ყველგან, სადაც უხდებოდა მუშაობა ოთარ ქინქლაძეს, მაშინვე მჟღავნდებოდა მისი, როგორც შემოქმედისა და ორგანიზატორის მადლი.

ოთარ ქინქლაძემ ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი სახალხო განათლების სისტემაში საქმიანობას, ქართული სკოლის წინსვლისა და განვითარებისათვის ზრუნვას უძღვნა. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, თბილისის ოლქის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1976-1986 წლებში — საქართველოს განათლების მინისტრად. ამ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ოთარ ქინქლაძე იყო განათლების დარგში მრავალი ნოვატორული წამოწყების ინიციატორი, ორგანიზატორი და განმახორციელებელი. მის სახელთან არის დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი წამოწყებები, როგორიცაა სასკოლო საქმიანობაში განმავითარებელი სწავლების დანერგვა და ახალგაზრდობის ცხოვრებისთვის მომზადება, საშუალო სკოლებში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლების შემოღება და სხვა.

ოთარ ქინქლაძე ყოველთვის გვევლინებოდა ამ წამოწყებათა პრინციპულ დამცველად და პოპულარიზატორად. ბევრი სასარგებლო სიახლის დანერგვა მოხერხდა მისი დაჟინებული მონდომების შედეგად, მაგრამ ბევრისა — ვერა, რადგან თავისი მოთხოვნებით და იდეური მრწამსით იგი წინ უსწრებდა იმ დროს დამკვიდრებულ შეხედულებებს.

ოთარ ქინქლაძე იყო თვალსაჩინო მეცნიერი თეორეტიკოსი. მისი ხალასი ნიჭი გამოვლინდა ისეთ მნიშვნელოვან შრომებში, როგორიცაა „გაზეთი „დროება" და აღზრდის საკითხები", „ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალიბება", „სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი", „დედაენის აღმზრდელობითი ფუნქცია" და სხვა. რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ხვდებოდა მის შესანიშნავ პუბლიკაციებს. მოწოდებით მოძღვარი, მასწავლებელი ოთარ ქინქლაძე თეორიულ მუშაობას კარგად უხამებდა პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერთა კვლევითსა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტებში.

ძნელია შევგუო აზრს, რომ აღარ არის ბატონი ოთარი, დიდბუნებოვანი კაცი. მაგრამ ახლობლებს, მისი კაცობისა და ნიჭის თაყვანისმცემლებს ნუგეშად რჩებათ, რომ იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ნამუსის ქუდი არ მოუხდია გარემოებათა წინაშე და წინაპართა აჩრდილებს ეახლება ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ვალმოხდილი.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი; საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.

სიკეთისათვის მებრძოლი კაცი

კიდევ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა საქართველოს ცას და თან გაიყოლა ცრემლი საძმოსი, რომელსაც ჩვენთვის ძვირფასი და ურგულესი მამულიშვილი ოთარ ქინქლაძე ეკუთვნოდა.

სიკვდილისთვის რაინდულად მებრძოლი კაცი, დიდი და ღირსეული წინაპრებივით, ქართველი ხალხის ტკივილით ცხოვრობდა.

უყვარდა ხოლმე ვაჟას სტრიქონის გამეორება: „გულო, არ გატყდე, გამაგრდი, კლდეო, კვლავ იდექ სალადა!".

ბოლომდე არ გატეხილა ოთარ ქინქლაძე, ბოლომდე იდგა სალ კლდესავით და როგორც თვითონ ამბობდა: „ვდგავართ ძველი და ახალი ცხოვრების მიჯნაზე".

ხომ დინჯი იყო, მაინც სულ სადღაც ეჩქარებოდა...

ერთ წერილში, დამოუკიდებელი საქართველოს გამო, ოთარ ქინქლაძე წერდა: „ოპოზიცია ძალას იკრებს, იძენს სიტუაციური ანალიზის უნარსაც და ყოველივე ეს მის მოწიფულობას ადასტურებს".

მინდა ხმამაღლა ვთქვა, რომ ძალაში, ოპოზიცია რომ იკრებდა, ოთარ ქინქლაძის ძალაც ერია, ძალა ვაჟკაცი და ნათელი ქართველისა, ძალა მოღვაწისა და ჭეშმარიტი მამულიშვილისა.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

ჩოგანი

ტელექსს ტელექსი მოსდევს

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლეა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში — ჩვენმა ძალოსნობის ფედერაციამ ამ დღეებში საერთაშორისო ფედერაციიდან მიიღო ტელექსი, რომელშიც ნათქვამია: „**გაცნობებთ, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია აწყობს თავის ყოველწლიურ კონგრესს ქ. ტენერიფეში (კანარის კუნძულები) 1992 წლის 14-17 ნოემბერს, სადაც თქვენი ფედერაცია და დელეგაცია ოფიციალურად იქნება აღიარებული საერთაშორისო ფედერაციის ახალ წევრად**".

ტელექსს ხელს აწერს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი, დოქტორი თომას აიანი.

ვულოცავთ ჩვენს ძალოსნებს საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლას და ვუსურვებთ დიდ სპორტში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

ცარიელი ბოთლი გაძვირდა

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის მინისტრებმა და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ბოთლის ტარის ნუსხა ახალი დასაწინდი ფასით. ეს უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკური გაერთიანება „საქმინტარის" მთავარმა ინჟინერმა **თეიმურაზ მაისურაძემ.**

— ახლა რძის, ლიმონათის, მინერალური წყლისა და ზეთის ნახევარლიტრიანი ბოთლების ფასი 5 მანეთია — თქვა მან. 6 მანეთი ღირს კონიაკის, არყის, ღვინის, ძმრისა და 0,33 ლიტრი ტევადობის ბოთლი. ფასების ასეთი ზრდა გამოწვეულია იმ ელექტროენერგიის, სათბობის, ნედლეულის გაძვირებით, რომელიც ხმარდება მინის ტარის დამზადებას. საკმარისია ითქვას, რომ ერთი ტონა კალცინირებული სოდა — მინის დასამზადებლად საჭირო ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რომელიც ბულგარეთიდან შემოგვაქვს, რესპუბლიკას უჯდება 25 ათასი მანეთი, თუ არ გავითვალისწინებთ სატრანსპორტო ხარჯებს. ამიტომ დაინტერესებული ვართ, რომ მოსახლეობამ რიტმულად მოგვაწოდოს წარმოებისათვის ესოდენ საჭირო მინის ტარა, რომელიც ასიათასობით დაუგროვდა. საეჭვოა ახლა ვინმემ გადააგდოს ბოთლი, რომელსაც ასეთი დიდი ფასი აქვს.

მუშავდება აგრეთვე სხვადასხვა ტევადობის — 0,5-დან 3 ლიტრამდე მინის ქილებისა და მაიონეზისა და არაჟნის ქილების ფასები. ცალკე დგას შამპანურის ბოთლის საკითხი, რამდენადაც იგი შემოგვაქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან და ხელმეორედ მისი გამოყენება არ შეიძლება. ამ ბოთლის ფასს ცალკე განვიხილავთ.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

კვირის კრიმინალური ქრონიკა

ვინა თქვა, ქალს ქაღლიც არ შეუყეფსო

ზამთრის გრძელი და ცივი ღამე გველეშაპივით დასწოლოდა კავთისხევს. ხანდახან ქარის ავი სტვენა თუ დაარღვევდა სოფლის მყუდროებას. ამ დროს ნადირიც კი ერიდება თავისი ბუნაგიდან გამოსვლას. მათ კი სწორედ ეს დრო შეარჩიეს „საქმეზე" გასასვლელად. სიბნელე, ქარი და თოვლი ადვილად შლის კვალს.

მოულოდნელად დაადგა სამი მამაკაცი ძილ-ღვიძილში მყოფ ოლია ნონიკაშვილს. სამოც წელს გადაცილებული ქალი მაშინვე მიხვდა, რომ ისინი აქ სასიკეთოდ არ იყვნენ მოსული. არც იმათ დაუმალავთ განზრახული:

— აბა, გამოძვერი მაგ ლოგინიდან და რაც ფული გაქვს, მოგვეცი.

თითქოს ავი მუქარა საკმარისი არ იყო, ალაპლაპებული დანებიც მოუღერეს. ქალსაც რა ძალა ჰქონდა, ადგა და ყაჩაღებს გამოუტანა შავი დღისათვის გადანახული გროშები... 200 მანეთი.

ყაჩაღებმა, რა თქმა უნდა, იცოტავეს. სამი კაცი ამაზე მოვცდითო? მერე იფიქრეს, ამას სხვა ფულიც ექნება გადანახულიო. ხელ-ფეხი შეუკრეს და მოკვლით დაემუქრნენ. მაგრამ რაც არ ჰქონდა, რას მისცემდა. ყაჩაღები მიხვდნენ, რომ აქ დარჩენას აზრი აღარა ჰქონდა, გაბოროტებულებმა ქალს მუჯლუგუნი უთავაზეს, მერე ერთმა მათგანმა ნავთი გადაასხა და... ასანთიც გაჰკრა. სამმა ჯანღონიანმა მამაკაცმა ცეცხლწაკიდებული ხანდაზმული ქალი დატოვა და იქაურობას გაეცალა.

თქვენ გგონიათ დატრიალებულმა ცოდვამ ნადირივით შორს გააქცია ისინი? არა, იქვე ოლია ნონიკაშვილის მეზობლის — ტურფა ქსოვრელის სახლში შევიდნენ. ეს, სამოც წელს გადაცილებული ქალიც „კერკეტი კაკალი" გამოდგა, ყაჩაღებს ფულისა და ოქროულობის მიცემაზე ცივი უარი უთხრა. უარი ასე არ უნდოდა, ყაჩაღებმა მაგრად სცემეს და ღამის სიბნელეს მისცეს თავი.

ორივე მანდილოსანი საავადმყოფოში მოათავსეს. მილიციამ დაიწყო ყაჩაღების ძებნა. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული კონტროლი დააწესა ამ დანაშაულის გახსნაზე.

დამნაშავეებს ალბათ დააკავებენ. მიუსჯიან, რასაც კანონი ითვალისწინებს. მაგრამ რა განუკურნავს ფიზიკურ და მორალურ ტკივილს ორ ხანდაზმულ ქალბატონს, ჩვენ კი — მთელ ქართველობას რა ჩამოგვირეცხავს კიდევ ერთ ლაქას, მოცხებულს ჩვენივე თანამემამულეთა უსაქციელო საქციელით?

„ჩვენებმაც" ხელი შეაშველეს

აგერ უკვე ორი წელიწადია ქართველ კაცს თავისუფლად ვერ გაუვლია სამაჩაბლოში. ჩრდილოეთიდან საშოვარზე ჩამოსული და აქაური „ბოევიკები", ხელიდან არ უშვებენ ნადავლის დაუფლების შემთხვევას. მაგრამ ვაი, რომ თურმე მარტო სხვა ტომის მძარცველი არ ჩასაფრებია სამაჩაბლოს გაწამებულ მოსახლეობას.

28 თებერვალს კეხვის უნივერმაღიდან სოფელ ტყვიავის კოოპერატივში ჩასაბარებლად მილიციელ გივი კახნიაშვილს მოჰქონდა ნავაჭრი თანხა — 26.200 მანეთი. ყველასათვის ცნობილი მიზეზის გამო, მილიციელმა ცხინვალს გვერდი აუქცია და ერედვის გზით წამოვიდა. ამ სოფლამდე თითქმის მოსული იყო, რომ უცებ წინ აეტუზა ორი ახალგაზრდა. მომარჯვებული ხელყუმბარა მათ ბოროტ განზრახვაზე მიანიშნებდა.

თავდასხმა ისე უეცრად მოხდა, რომ გივი კახნიაშვილმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. სოფლის ნავაჭრი ფული ყაჩაღებმა წაიღეს.

გორის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა სასწრაფოდ დაიწყეს მძარცველის ძებნა. შემთხვევის ადგილზე გავიდნენ გამომძიებელი ვ. ვახტანგიშვილი, ერედვის ქვეგანყოფილების უფროსი ვ. გოგიძე და სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული ა. ციცაგი.

ყაჩაღებმა ვერ მოასწრეს მიმალვა, მილიციელებმა რამდენიმე საათში დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებნი: 20 წლის კობა ჭულუხაძე და 19 წლის სანდრო ბაბუციძე. ნაძარცვი ამოღებულია.

თითქოს უცხო ყაჩაღი აკლდა სამაჩაბლოს მოსახლეობას, „ჩვენებმაც" ხელი შეაშველეს.

იწვის, იწვის!

საქართველოში გახშირდა ხანძრები. რესპუბლიკის მოსახლეობას უკვე აღარ აკმაყოფილებს ტრაფარეტული, ძუნწი ცნობა: „ხანძრის მიზეზებს ვიძიებთ". ხალხს აინტერესებს — ეს არის უბედური შემთხვევა, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობა თუ... დივერსია.

ამ კვირაში მომხდარი ხანძრების მიზეზებზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ახლა მოგახსენებთ. თუმცა ფაქტების კონსტატაციაც იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების უფლებას.

27 თებერვალს თბილისში სამი ხანძარი გაჩნდა. ღამით დაიწვა თბილისის მერიის შენობის მარჯვენა ფრთის ორი სართული, იმავე ღამეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწვა ტელე-რადიოკომენტატორების ჯიხური, რომელიც ორი დღით ადრე გაძარცვეს ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა, იმავე 27 თებერვალს ხანძარი გაჩნდა გლდანის დასახლებაში — ტრიკოტაჟის კომბინატში.

29 თებერვალს ღამით ნამდვილი ტრაგედია დატრიალდა თბილისში იყალთოს ქუჩაზე. ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, ხანძარი გაუჩნდა რამდენიმე კერძო სახლს. ძლიერი ქარი კიდევ უფრო აჩაღებდა ისედაც გახელებულ ცეცხლოვან სტიქიას. ათი სახანძრო ავტომანქანა 16 საათის განმავლობაში ებრძოდა ხანძარს. დაიწვა 9 სახლი. განადგურდა 600 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მაგრამ, ყველაზე სამწუხარო მაინც ადამიანთა მსხვერპლია.

ალმოდებულ სახლში გამომწყვდეული 32 წლის ანასტასია კოლესნიკოვას ისღა დარჩენოდა, ფანჯრიდან გადმოეყარა შვილები — 8 წლის ალექსანდრა და 4 წლის ირინა. თვითონ ანასტასია მეხანძრეებმა გრძნობადაკარგული გამოიყვანეს და სასწრაფო დახმარების მანქანით რესპუბლიკის დამწვრობის ცენტრის რეანიმაციის განყოფილებაში გაგზავნეს. ბავშვების კვალს ვეღარ მიაგნეს. იფიქრეს, ვინმე ქრისტიანმა შეიფარაო. იმავე დილით ნათესავებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მოგვაკითხეს. ტელევიზიით გადავეცით ცნობა ბავშვების დაკარგვის თაობაზე. ვუჩვენეთ მათი ფოტოსურათებიც.

სამწუხაროდ, ბავშვების დაკარგვის ეს იმედიანი ეჭვი ამაო გამოდგა. ხანძრისაგან დანახშირებულ სახლში — მეხანძრეებმა იპოვეს ორივე ბავშვისა და მათი ბებიის სონია ენიანინას გვამები.

სიფხიზლეს თავი არა სტკივა

სიფხიზლე ყველგან არის საჭირო. განსაკუთრებით საზღვრისპირა რაიონებში. მით უმეტეს თუ იმ საზღვრის იქით ჩვენი ორი კარის მეზობელი ერთმანეთს ეომება. ორივე მეზობელთან, რა თქმა უნდა, კეთილ დამოკიდებულებას ვინარჩუნებთ, მაგრამ მაინც თვალი და ყური გვიჭირავს, რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს. ამ დროს მთავარია უნებართვო იარაღის ამოღება.

მარნეულის რაიონის მილიციის თანამშრომლების სადღეისო საზრუნავიც სწორედ ეს არის. მათ სიფხიზლესა და მონდომებას შედეგიც მოსდევს.

ამ რამდენიმე დღის წინ რაიგანყოფილების მუშაკებმა დააკავეს სოფელ ყიზილაჯლოს კოოპერატივ „მარსის" თანამშრომელი, ქალაქ მარნეულის მცხოვრები ადალათ ზეინალოვი. როცა მისი ბინა გაჩხრიკეს, იქ აღმოაჩინეს 8 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი", მცირეკალიბრიანი შაშხანა 90 ვაზნით, სამხედრო წარმოების ოთხი ხელყუმბარა.

მეორე მარნეულელს — დროებით უმუშევარს რაფაელ შარაფოვს სახლში უპოვეს ავტომატის 30 ვაზნა და ერთი ხელყუმბარა.

სიფხიზლეს თავი არ სტკივა...

გასული კვირის განმავლობაში რესპუბლიკაში მოხდა 228 სისხლის სამართლის დანაშაული, მათ შორის 18 მკვლელობა, 21 ყაჩაღობა, სახელმწიფო და პირადი ქონების 54 ქურდობა, გაიტაცეს 25 ავტომანქანა.

ვალერიან გოგოლაშვილი.

„გავაზი"
სადაზღვევო კომპანია
საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს
სადაზღვევო კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.
გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.
მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.
გახსოვდეთ!
ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. „გავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაცია
ტურისტული მოგზაურობის მსურველებს სთავაზობს მგზავრობას კომფორტული ავტობუსებით თურქეთში, მარშრუტით:
თბილისი — ფაცა — სამსუნი — თბილისი.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. № 10, ტელ.: 37-56-92.

თავშესაქცევად

კროსვორდი



თარაზულად: 5. დ. ერისთავის ფსევდონიმი. 6. ხუთი ერთმანეთთან გადაჭდობილი რგოლის — ოლიმპიური ემბლემის ავტორი. 10. იორდანიის დედაქალაქი. 11. დესერტი. 12. სამება, სამეული. 15. მოქმედი ვულკანი სიცილიაზე. 17. წიგნის, ფურცლის, ბარათის ზომა. 18. ამერიკელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 19. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი. 20. გულამოღებული ხის ან თუნუქის ჭურჭელი მარცვლეულისათვის. 24. ფრანგი კინორეჟისორი. 25. ზღვის წვრილი თევზი. 26. დადებითად დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელშიც ერთი ან რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტია ან ნაკლები. 29. თ. დოსტოევსკის რომანი. 30. მოლიერის „ტარტიუფში" ტასო აბაშიძის მიერ განსახიერებული პერსონაჟი. 31. ტყავის წვრილი ნაჭრების წნული. 33. ინდოელი კინომსახიობი. 34. ქარიშხალი.

შვეულად: 1. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი. 2. გაერთიანება, კავშირი ორი მონარქიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მეფის მეთაურობით ან კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიებისა რომის პაპის მეთაურობით. 3. ინგლისური არაყი. 4. სხვადასხვა პოპულარული ოპერების, ოპერეტების, ხალხური სიმღერებისაგან შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები. 7. საბერძნეთის ქალაქი. 8. მხატვრის ფუნჯი. 9. ჩასაბერი საკრავი. 13. ფრანგი კინომსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ბენჯამენი". 14. ავსტრიელი კომპოზიტორი. 16. ქექა-ქუხილის, წვიმისა და ქარის ღვთაება ძველი აღმოსავლეთის ზოგი ხალხის რელიგიაში. 18. პროფესიონალი მთქმელი და შემსრულებელი შუა აზიის თურქულენოვან ხალხებში. 21. სინათლისა და გაზაფხულის ღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში. 22. საგანი, რომელიც წარმოადგენს მასალას, ნატურას მხატვრისათვის. 26. მოკლე წინასწარი განცხადება მომავალი სპექტაკლის, კონცერტის შესახებ. 27. ტრაფარეტი. 28. ამერიკის ფულის ერთეული. 31. გზატკეცილი. 32. ბერძნული ანბანის ყველაზე პატარა ასო.

29 თებერვალს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. არბიტრი. 8. ნიკოლზი. 11. ანუი. 12. ტოლჩიფი. 13. შერი. 14. ტანგო. 15. როდეო; 16. კასტა. 19. ფინალი. 20. იბერია. 21. სმალტა. 24. მოდელი. 28. ბრუკი. 29. ქსელი. 30. სფერო. 33. ვერე. 34. კონორსი. 35. რომი. 36. ესენინი. 37. კუნძული.

შვეულად: 1. ბრანდაო. 2. ბილინგზი. 3. გროტი. 4. პითია. 5. გოტშლაკი. 6. აზურიტი. 9. ელიოტი. 10. ფიშერი. 17. შარლო. 18. დენდი. 22. მაკლეინი. 23. „არსენა". 24. მილერი. 25. ლაფერაძე. 26. ორფევსი. 27. ტრამალი. 31. სკენე. 32. გიჟუ.

დაუცხრომელი გარი კასპაროვი

ხშირად კითხულობენ: სად არის და რას აკეთებს მსოფლიო ჩემპიონი, 29 წლის გარი კასპაროვი?

ამჟამად გარი კასპაროვი ლინარესის (ესპანეთი) დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. მას მეტოქეებად ჰყავს თანამედროვეობის უძლიერესი დიდოსტატები ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი (რუსეთი), იან ტიმანი (ჰოლანდია), ნაიჯელ შორტი, ჯონათან სპილმენი (ინგლისი), ვისვანათჰამ ანანდი (ინდოეთი), ვასილ ივანჩუკი, ალექსანდრე ბელიავსკი (უკრაინა), და სხვები.

8 ტურის შემდეგ იგი ერთპიროვნული ლიდერია 6 ქულით. აღსანიშნავია, რომ მან სძლია ტიმანს, კარპოვს და შორტს.

საერთოდ, გარი კასპაროვი ხშირად მონაწილეობს უძლიერესთა პაექრობაში. შარშან მან მოიგო ტილბურგის (ჰოლანდია) მატჩ-ტურნირი, ხოლო რეჯიო-ემილიას (იტალია) საახალწლო საერთაშორისო შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. მას ინდოელმა, 22 წლის ანანდმა აჯობა. კასპაროვი არ იმჩნევს მსგავს გულისტკენას, კვლავ ოცნებობს იყოს მსოფლიო ჩემპიონი. მისი მარიფათით ამერიკელმა მილიონერებმა მსოფლიო პირველობის მატჩის მოსაწყობად 7 მილიონი დოლარი გაიღეს. ამ თანხის ლომის წილი — 4 მილიონი საპრიზო ფონდად გამოიყო. ამას წინათ გადაწყდა, რომ ეს მატჩი ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესში მოეწყობა 1993 წლის 14 აგვისტოდან.

ახლა გარი კასპაროვი მოსკოვში ცხოვრობს. ალბათ გახსოვთ, რომ ბაქოს 1990 წლის ტრაგედიის გამო იგი ლტოლვილი შეიქმნა. უმძაფრეს მომენტში მან დაიქირავა თვითმფრინავი და თავის ოჯახის წევრებთან ერთად 49 ნათესავი და ახლობელი ბაქოდან მოსკოვში გადააფრინა. მხოლოდ ამ დღეებში გაიჩინა კასპაროვმა საკუთარი თავშესაფარი. მოსკოვის ცენტრში შეიძინა ოთხოთახიანი ბინა, რომელშიც 30 ათასი დოლარი და 300 ათასი მანეთი გადაიხადა. ცხოვრობს იგი მეუღლისა და დედასთან ერთად.

გარი კასპაროვი რუსეთში პირველი კერძო საქველმოქმედო ფონდის პატრონია. რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა „კასპაროვის ფონდი". ვარაუდობენ, რომ ფონდი განახორციელებს „ერთობლივ აქციებს სოციალურად ყველაზე დაუცველი, ძირითადად ხანდაზმული ადამიანების დასახმარებლად". ახალგაზრდა ჩემპიონი გულმოწყალე კაცია. 1990 წელს მსოფლიო პირველობის მატჩში გამარჯვებისთვის მას ფრანგულმა ფირმამ „კოროლოფმა" ძვირფასი საჩუქარი გადასცა. ეს გახლდათ ოქროს ნაკეთობა ერთმანეთს ზურგშექცეული ორი რუსული ასო კ 1018 თეთრი და შავი ბრილიანტით, რომელიც ერთ მილიონ დოლარად იყო შეფასებული. და აი, საჩუქარი გაიყიდა აუქციონზე რამდენიმე მილიონ დოლარად. ეს თანხა კასპაროვმა ბაქოს 1990 წლის ტრაგედიაში დაზარალებულ სომხებს გაუნაწილა (თითოეულ ოჯახს რამდენიმე ათასი მანეთი შეხვდა).

ახლა გარი კასპაროვი გატაცებულია ჭადრაკის აკადემიის შექმნით. უნდა, რომ იგი პოდოლსკში (მოსკოვის მახლობლად), რუსეთის საჭადრაკო ცენტრში გახსნას. სუპერპროექტს თავად აფინანსებს.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

თავშესაქცევად

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 22-12-87; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29. ინდექსი 66434.